ბრძოლა

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. შუშ. პარტ. საზღვარგარეთელი ბიუროსი

«LA LUTTE» — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ფასი 3 ფრ. | პარიზი, ოქტომბერი 1925. **N° 4.** Paris, Octobre 1925. | Prix 3 Fr.

1725
1925

მარსელში.

სოციალისტური ინტერნაციონალი ჰამბურგში გამართელდა ორგანიზაციულათ და იდეიურათ, მარსელში პოლიტიკურათ და ტაქტიკურათ.

ჰამბურგში მან აღმართა დროშა სოციალიზმისა და ზედ მოქარგა მისი ძირითადი დებულებანი.

მარსელში ეს დებულებანი მან ჩამოასხა მიმდინარე პოლიტიკათ და გახადა სოციალისტური საქმიანობის კალაპოტათ.

რა საკითხებმა მიიპყრო ინტერნაციონალის ყურადღება მარსელში?

ეს ის საკითხებია, რომელიც დღეს იპყრობს ქვეყნის ყურადღებას—საკითხი ომის და ზავის, დაცვმის და აღორძინების. თავისუფლების, და მონობის, კულტურის თუ ველურობის.

ამ ექამთ დასავლეთში წარმოებს დიდი ისტორიული დავა სოციალიზმს და კაპიტალიზმს შორის. თუ წინეთ, ომის წინ, ინტერნაციონალი წარმოადგენდა მომავალი წყობილების მოციქულთა კრებულს, რომელიც ქვეყნთა ახალ სახარებას ღაღადებდა, ახლა ის ეკავ შეიჭრა ცხოვრების შუაგულში და თავის მჭრელ სიტყვას საქმეთ აქცევს. აქ მას ეჯახება ბურჟუაზიის ტაადიციული პოლიტიკა და გაჰაღდა ბრძოლა ამ ორ ბანაკს შორის.

მსოფლიო ომმა, ქვეყნის ასე გაჩანაგებამ და დარბევამ სამუდამოთ დაუკარგა პრესტიჟი ამ უბედურობის მეთაურს—ბურჟუაზიას და განადგა სოციალიზმი. სახოგადოებას სიტყვა-სიტყვით აუსრულდა სოციალისტების გაფრთხილება, ომრესის, ბეგელის, გედის და მრავალ სხვა ლიდერთა ნათქვამი. იმპერიალისტური პოლიტიკა საქვეყნოთ გაკოტრდა, სოციალისტური პოლიტიკა აუცილებელი შეიქნა.

მარსელის კონგრესი აღარ იყო ყრილობა ჭკვიანებელთა. იქ არ ისმოდა ხმა მღაღადებელისა უდაბნოსა შინა; პირიქით, ეს გახლდათ კრება სახელმწიფო მოღვაწეთა, პრაქტიკული პოლიტიკის გამტარებელთა. მისი ერთი სხდომის თავმჯდომარეობა ბელგიის და შვეიცის სოციალისტი მინისტრების მიერ უტყუარი ნიშანია სიტყვის საქმეთ გადაქცევის, რეზოლიუციის სახელმწიფო აქტში განხორციელების.

ამიტომ სრულიად გასაგებია ის ინტერესი კონგრესისადმი, რომელიც ქვეყანამ გამოიჩინა. აქ წყდება მისი ხვალინდელი ბედი, აქ იყრება მისი ხვალინდელი შენობის საძირკველი. როგორი უნდა იყოს ეს საძირკველი? რაზე დაეყრდნოს საზოგადოება? რა გზით შეიძლება მისი აღორძინება დაგანვითარება?

ევროპაში ორნაირი პოლიტიკური საზოგადოებაა—დასავლეთის და აღმოსავლეთის. რომელნიც იმყოფებიან ორ სხვადასხვა მდგომარეობაში. პირველს ემუქრება კაპიტალისტური იმპერიალიზმი, მეორეს კი კომუნისტური იმპერიალიზმი. ამიტომ მარსელში ეს ორი საკითხი ცალცალკე იქნა დასმული და მათ ირგვლივ დატრიალდა თვალი მუშაობა.

საზოგადოება უნდა აეგოს მშვიდობიანობაზე, ზავზე. ეს ძირითადი დებულებაა სოციალიზმის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოება უნდა აეგოს ომზე, დაპყრობაზე—ეს ასეთივე ძირითადი დებულებაა ბოლშევიზმის. ამ ორ მოპირდაპირე ბანაკს შორის დგას ბურჟუაზია, რომლის ერთი შტო—მილიტარისტული და ფაშისტური ებღაინება ბოლშევიზმს, ხოლო მეორე—პროგრესისული და პაციფიური—სოციალიზმს. პირველი ლამის ისტორია უკან შეატრიალოს, მიღწეული საფეხური დემოკრატიის და თავისუფლების მოსპოს და მის ალაგას ძალმომრეობა გაამეფოს. ომი გარეთ, რეაქციაა ზიანი—ინ რას უმზადებს ის კაცობრობას. მეორე მიმდინარეობა ამას სავსებით ეწინააღმდეგება, დემოკრატია და პაციფიზმი მისი ერთთან-ერთი ფარხმალია, აქ ერთდება პროლეტარიატი და მოწინავე ბურჟუაზია. ერთდება, მარა არ ითქვიფება. მარსელის კონგრესმა მათ შორის გაავლო ზღვარი, განასხვავა სოციალისტური პაციფიზმი ბურჟუაზიულისაგან. უკანასკნელი ომს აღიარებს ეკაბედ, შემთხვევით მოგლენთ, ჭლახა ფიპლომატებს და მინისტრების შეცდომათ. შესაცვალეთ უცარგისი მართველი ვარგისისანით და ქვეყნათ შვიდოდ-ბიანობა დამყარდებაო. სოციალიზმი კი, პირიქით, აღიარებს ომს აუცილებელ მოგლენთ კლასიერ საზოგადოებაში. ომი კლასთა შორის ბადებს ომს ერთთა შორის. მოსპეთ კლასთა ბატონობა, გააუქმეთ მისი უკანასკნელი ფორმა—კაპიტალიზმი, დაამყარეთ სოციალიზმი და ომი შიგნით და გარეთ მოისპობა, ნამდვილი დემოკრატია ერში და ერთა შორის გაბატონდება...

აი ამ ძირითადი პრინციპიალური განსხვავებით იწყება მარსელის რეზოლიუცია—«მშვიდობიანობის პოლიტიკა». ის ამბობს:

«ეკონომიური კონკურენციის რეკიმი ერთმანეთს აჯაბნებს ყველა ნაციონალურ კაპიტალიზმს, რომ მოიპოვონ დასამუშავებელი მასალა და ბაზარი, გაყვლიფონ მუშათა მასა, დაიგროვონ დიდი კაპიტალი და ხელი იგდონ ფინანსიური ბატონობა. ასეთი რეკიმი რჩება ძირითად მიზეზათ ომის საშიშროების...»

სოციალისტური რევოლიუციია ბოლოს უღებს ომს. კომუნისტური რევოლიუციია კი, პირიქით, ხდება წყაროთ ახალი ომიანობის. ბოლშევიკებმა დაამყარეს რა «კომუნიზმი», გადაიქცენ მილიტარიზმის და მსოფლიო სისხლის ღვრის მოციქულებათ. საკმარისი იყო მარტო ეს ერთი თანდაყოლილი ჩრდილი მთელი მათი აზროვნების და ყოფილების ამოსაგდებათ. პროლეტარიატი და მისი მიმყოლი მეზობელი კლასები თავს იყრიან სოციალიზმის დროშის ქვეშ. ვინაიდან აქ ხედავენ ისინი პირველ ყოვლისს მშვიდობიანობის ნამდვილ დამცველთ. მარა საბოლოო მიზნის მიღწევამდე არა ერთი და ორი ომი შეიძლება ატყდეს, სანამ პეტრე მოვა, პავლეს ტკივი გაძვრეს. ამიტომ პროლეტარიატი იბრძვის არსებულ პოლიტიკურ საზღვრებში ომის თავიდან ასიცილებლათ და ხალხთა ურთიერთობის მოსაწესრიგებლათ. აქაც, ის დიდათ ნსხვავდება ბურჟუაზიულ პაციფისტებისაგან. ესენი ფიქრობენ არსებული საერთაშორისო. ურთიერთობის დაცვით, დადებული ტრაქტატების შესრულებით მშვიდობის გამეფებას. მათთვის ვერსალის ზავი, მაგ., ხელშეკრულებები მცნებაა, მისი შეცვლა ან შესწორება მომაკვდინებელი ცოდვაა. სოციალისტური ინტერნაციონალი კი ფიქრობს ზავის დამაგრებას არსებულ ხელშეკრულებათა გადაშინჯვით. უსამართლო საზღვრების გასწორებით, დამონებული ერების განთავისუფლებით, ომიანობის უაზოოესი მიზეზების მოსპობით. ერთი ლიგა უნდა გაჩდეს იარაღით ასეთი გადასხვაფერების. ამ პოლიტიკურ ადმშენებლობას უნდა მიეცეს შესაფერი ეკონომიური საფუძველი. ლიგამ უნდა თვალყური ადევნოს საწარმოო კონფიდენციებს. ამ მიზნით შექმნას განსაკუთრებით ეკონომიური საბჭო, ჩაერიოს და მოაწესრიგოს საერთაშორისო შეჯახება დასამუშავებელი მასალის განაწილების ნიადაგზე. ყოველნაირი კონფლიქტი ხალხთა შორის უნდა გადაწყდეს სავალდებულო არბიტრაჟით. არბიტრაჟის უარისმყოფელი ჩაითვლება დამცემათ და ყველა სახელმწიფოთა რისხვა მის წინააღმდეგ მიიმართება.

როგორც ხედავთ, მარსელის ვეგმა შეიცავს სრულ განახლებას არსებულ საერთაშორისო პოლიტიკური და მატერიალური ურთიერთობის. ის მას ათავსებს ერთ ვარკვეულ კალაპოტში, ამარტივებს და დარაჯად უყენებს მოწონავე კაცობრობას. ამ პირობაში ომის გამომწყვები, სხვისი დამპყრობი დაუკონებლივ მიიღებს შესაფერ სასჯელს. ყველა ნაბიჯი ამ მხრით გადადგმული არის ეს ნაწილობრივი შეთანხმება (პაკტი) ერთა შორის თუ საერთო სავალდებულო შეთანხმება (პროტოკოლი) მისაღები და აღსასრულებელია.

«აი ამ შეხედულებას მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის კონგრესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპირდაპირებს, ამბობს რეზოლიუცია. შეხედულებას ბოლშევიზმისას, რომელიც სოციალიზმის აღმაშენებელი ნების ყოფის ალაგას აყენებს ბრმა დანგრევის ოცნებას და მით აგვიანებს ამ ქაბს, როცა პროლეტარიატი, ბატონი თავის ბედისა, შესძლებს განაზორციელოს თავისი სრული განთავისუფლება კეთილ დღეობაში" და სხვ.

ასეთია კონგრესის განაჩენი დასავლეთ ევროპის მწვავე საკითხებზე.

აღმოსავლეთ ევროპის მდგომარეობა, როგორც ვთქვით, რამოდენიმეთ განსხვავებულია. ნაციონალური სახელმწიფოები დასავლეთში დიდი ხანია არსებობენ და მათ არსებობას არავინ ეშუქრება. აქ დგას არა ერის სუვერენიტეტის საკითხი, არამედ საკითხი ეკონომიური კონფლიქტის, სტრატეგიული და ისტორიული შუალეს. კოლონიების მოგლა-პატრონობისა—ერთი სიტყვით წინაადმდეგობანი კაპიტალისტური იმპერიალიზმისა. იქ, აღმოსავლეთში, ნაციონალური სახელმწიფონი ახლათ დაარსებულნა, ზოგმა განთავისუფლებულმა ნაციამ კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა, ყველა ამათ ეშუქრება ახლათ აღორძინებული ბოლშევიკური იმპერიალიზმი, ეშუქრება არა მარტო მათ ეკონომიკას, მათ ამა თუ იმ კერძო მხარეებს, არამედ მთელ მათ არსებობას, მათ სუვერენობას, მათ დამოუკიდებლობას. მათ ესახლვრება ეს უშველებელი მოლოსი და უპირებს გადაყლაპვას.

და ეი ამ საკითხში ინტერნაციონალმა ვერ გამოიჩინა საკმაო ერთსულოვნება. კიდევ მეტი, აქ ინტერნაციონალი გაიყო ორად, ერთი მხრით დადგა ყველა ახალ დაარსებული სახელმწიფონი საფრანგეთ-ბელგიის მეთაურობით, მეორე მხრით ინგლის-გერმანიის მიმყოლნი. ეს იშვიათი ამბავი სოციალისტური ინტერნაციონალისა აიხსნება თვით საკითხის სიახლით და გაურკვევლობით. ახალ-მოდის ბოლშევიკური იმპერიალიზმი აღორძინდა ეს რამდენიმე წელია, ის ნათელი გზადა საქართველოს დაპყრობამ. მას ჯერ ვერ შეეჭვია, ვერ გაეკვნა დიდი სახელმწიფოების სოც. პარტიები, რომლის მუშაობა თავის შინაური იმპერიალიზმით ისახლვრება ეს რამდენიმე ათეული წელია. მათ აწუხებს საკუთარი იარა და შორეულს ჯერ ოგანათ ვერ ფფსებენ. მართალია არც ერთი ეს პარტია დღეს ბოლშევიზმს აღარ რაცხს რევოლიუციურ ან სოციალისტურ ელემენტათ, არც ერთი ის მას მხარს არ უჭერს პოლიტიკურ ბრძოლაში. პირიქით, თველი პრაქტიკა ინტერნაციონალისა მოწმობს იმას, რომ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ის ილაშქრებს ხშირათ პროგრესიული ბურჟუაზიის გვერდით, ხოლო მის მომხრეთ არასოდეს არ გამოდის. ერთათ-ერთ გამონაკლისს შეადგენს ავსტრიის სოც.-დემ. პარტია, რომლის ლიდერს ბაუერს კიდევ სწამს ბოლშევიკების სოციალისტობა. ის ჩამოთვლის ყველა უარყოფით მხარეებს კომუნიზმისას, მასში ქვას ქვაზე არ ტოვებს, მარა დასკვნას მოულოდნელს აკეთებს: «ყოველ შემთხვევაში ის მაინც სოციალიზმია. ამ საერთო სოციალიზმიდან, მიუხედავად ყველა წინააღმდეგობისა ჩვენ ზორის, გამომდინარეობს შედარებიდან ერთობა ინტერესებისა, რაც არ უნდა იყოს დავიწყებული». [1])

და მართლაც, კონგრესის კომისიაში, სადაც ეს საკითხი ირჩეოდა ერთათ-ერთი ბაუერი გამოდიოდა პრინციპიალური მოსაზრებისაგან ბოლშევიზმის სასარგებლოთ, რასაც დაუპირდაპირდა ასეთივე პრინციპიალური მოსაზრება ბოლშევიზმის საწინააღმდეგოთ. აი ამ ორი მიმდინარეობის შეჯახებამ მოგვცა კომპრომისული რეზოლიუცია, რომლის შესახებ ბაუერი ამბობდა—ამას მე ვერ დავიცავ, ეს ჩემი აღარ არისო, თუმცა ნიშიერათ დაიცვა კონგრესის სხდომაზე.

რასაკვირველია, ბაუერის მთელი ზემოთ მოყვანილი მოსაზრება ბოლშევიზმზე ძირბუდიანსთ ეწინააღმდეგება ინტერნაციონალის შეხედულებას. ბოლშევიკების სოციალისტობა მას არ სწამს და აქედან გამოდის მისი ტაქტიკა—ბრძოლა მასთან თუნდაც მარცხება ბურჟუაზიის დახმარებით. თვით ავსტრიაშიაც ეგვეე ტაქტიკა გამოფებული და მაშასადამე ბაუერის შეხედულება უნიადაგო დაკერტნერობაა. და თუ მას რამდენიმეთ გასავალი მეცა მარსელში—ამის ბრალია დიდი პარტიების ბურჟუაზიუა შინაური მუშაობით და ნაკლები ყურადღების მიქცევა ზორეული კუთხეებისაკენ.

რას ამბობს რეზოლიუციი?

რეზოლიუცია ეკლექტიურია, სხვადასხვა დებულებათა კრებულია; მას აკლია სწორი პრინციპიალური დაფასება ბოლშევიკური იმპერიალიზმისა. ის აღიარებს

[1]) იხ. მისი წერილი «კამეფი», აგვისტოს ნომერი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკურ მოძღვრებას მიზეზად ომის გამოწვევისა. მარა ამ საფრთხეს ის არ უთანასწორებს კაპიტალისტური იმპერიალიზმის ომის საფრთხეს. ბრძოლა ორიეულთან ერთნაირი უნდა იყოს; რეზოლიუცია კი არ უსვამს ამ თანასწორობას ხაზს.

ამით აიხსნება რეზოლიუციის ერთი ორეოფფული დებულება—სოციალისტური პარტიები უნდა ებრძოლონ აგრესიული პოლიტიკას საბჭოთა რუსეთის წინააღდეგო. აგრესიული პოლიტიკა, როგორც ომის დასაბამი, რასაკვირველია დასაგმობია ყოველ შემთხვევაში, მარა როცა ამ მხრით მარტო საბჭოებია გამორჩეული, შეიძლება იფიქროს—ინტერნაციონალის ვალია ომის კონფლიქტში საბჭოების მხარი დაიჭიროსო. შეიძლება ასეთი იყო სურვილი ბაუერის და მისი მიმდევრების, მარა მთელ რეზოლიუციიდან ეს აღარ გამომდინარეობს. რაკი ბოლშევიკური ხელისუფლება აღიარებული ომის ერთ ფერმენტად და ანექსიონისტად, ამკარაა ომი რუსეთის და სხვა დიდ სახელმწიფოს შორის ნიშნავს შეტაკებას ორი იმპერიალიზმის ინტერესებისა. აქ კი სოც. პარტიის პოზიცია ერთათა-ერთია—ორიეულ დამარცხება. დემოკრატიის და სოციალიზმის მიერ. დემოკრატიული და ნაციონალური რევოლიუცია რუსეთში—აი ერთათ-ერთი პასუხი საბჭოთა საომარ ავანტიურაზე. ინტერნაციონალი სხვა პოზიციას ვეღარ დაადგება მარსელის რეზოლიუციის შემდეგ. გაქრა ის დრო, როცა მოსკოვპოლონეთის ომში დასავლეთის სოც. პარტიები პირველს ამაგრებდენ. მაშინ კიდევ სწამდათ ბოლშევიკების სოციალისტობა. შემდეგ ყველა პარტიამ ცალცალკე და ახლა ერთად მარსელში სამუდამოთ წესი აუგეს ამ ილიუზიას და ბოლშევიზმს ნიღაბი ახადეს.

ჰამბურგთან შედარებით, მარსელმა ამ დარგშიაც დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. იქ საბჭოთა შინაური საქმეში პირდაპირ ჩარევაზე უარი თქვეს და მხოლოდ რუსეთის სოციალისტურ პარტიებს დაუშიეს მხარი მათ მოთხოვნილებაში. (აქაც ინტერნესლებმა თავი შეიკავეს). აქ კი იმავე ინტერნესლების წინადადებით კონგრესი პირდაპირ ითხოვს რუსის ხალხისაგან ბოლო მოუღოს საბჭოთა ტირანიას და დაამყაროს დემოკრატიული წყობილება; კიდევ მეტი, ინტერნაციონალი მოეწყოდებს საბჭოთა ქვეშევრდომთ შეებრძოლონ თავის მთავრობის აგრესიულ და ანექსიონისტურ პოლიტიკას. დემოკრატიული ჩარევა რუსეთის საქმეებში ფაქტია. ცხადია, ინტერნაციონალის აზრით, ბოლშევიკური ხელისუფლება არის აგრესიული, ანექსიონისტური და ტერორისტული. არც ერთ კაპიტალისტურ მართველობას ასეთი სასტიკი განაჩენი მისგან არ მიუღია. მაგალითებიც იქავეა დასახელებული—სომხეთი, საქართველო, უკრაინა და სხვა რევოლიუციით განთავისუფლებული ერების ხელახალი დაპყრობა. ინტერნაციონალი ითხოვს მათ აღდგენას. დასავლეთში ყველა ერს აქვს დამოუკიდებლობა და კითხვაა მხოლოდ მათი უმცირესობის უფლებათა დაცვაზე. რუსეთში კი მთელი ერეია პატივაყრილი და დამონებული. ამ მხრითაც ბოლშევიკური რეკიმი სამარცხვინო ბოძზე არის გაკრული.

ამ ნაირათ, მარსელში კომუნისტური წყობილება პირველათ ტარდება ინტერნაციონალის სასტიკ კრიტიკაში და ღებულობს დამსახურებულ მსჯავრს. ბრძოლა ამ წყობილებასთან სასტიკი და დაუნდობელი—აი ერთათ-ერთი დასკვნა ამ მსჯავრისაგან. და თუ მაინც წარმოდგენილ პარტიათა და ერთა დიდ უმრავლესობამ რეზოლიუციას ხმა მისცა მოტივების განცხადებით, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ესენი კიდევ უფრო სასტიკ განაჩენს ითხოვდენ და ბოლშევიკური იმპერიალიზმის პრინციციიალურათ დადასტურებას აღიარებდენ.

დანარჩენ საკითხებს ასეთი მწვავე დავა არ გამოუწვევია და რეზოლიუციებიც ერთსულოვნათ იქნა მიღებული.

სოციალისტური ინტერნაციონალი საბოლოოთ გამთელებულია. მეჩიდროთ შეკავშირებულია, ერთი აზრით. ერთი ბრძოლებით გამსჭვალულია. ის დღეს უდიდეს როლს თამაშობს საერთაშორისო პოლიტიკაში, მას უსმენენ მტრები, მასზე იმედს ამყარებენ მოყვარენი, მის ირგვლივ თავს იყრიან სასიცოცხლო ძალები. ეს ფონი ყველაზე უფრო საიმედოა და მისი დაბმარებით გავალთ ჩვენც.

ნ. ყ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიათურის შავი ქვის ბედი.

საბჭოთა პრესაში ძალიან ბევრი დაიწერა ჭიათურის კონცესიის შესახებ: მოწინავე წერილები, მოხსენებები, ინტერვიუები, სპორადაგანდო ტეზისები. ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ამ კონცესიას დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა ექნება საქართველოსთვის კერძოდ და საბჭოთა კავშირისთვის სახოგადოთ; რომ პირობები კონცესიონერისთვის ისე მძიმეა, რომ მხოლოდ ამერიკელ კაპიტალისტთა კომპანიას თუ შეეძლო ასეთ პირობებზე ხელის მოწერა, თორემ სხვა ვერავინ გაბედავდა; რომ ჭარიმანთან დადებულ ხელშეკრულებით მოგებულია საბჭოთა მთავრობა და ქართველი ხალხი და სხვ. და სხვ.

გვესინჯოთ გულდასმით, თუნდაც იმ ცნობების მიხედვით, რასაც თვით საბჭოთა პრესა აქვეყნებს, ეს ამბირიდან ისტორიული ხელშეკრულება.

იმის პოლიტიკურ მხარეს ჩვენ ეხლა არ ვეხებით: ის, რაც ამის შესახებ ჩვენს გაზეთში უკვე დაიწერა, საკმარისად მიგვანიშნა. აღვნშნავთ მხოლოდ, რომ ბოლშევიკები დიდ პოლიტიკურ შედეგს მოელიან ამ კონცესიიდან—საბჭოთა პოლიტიკურ მდგომარეობის განმტკიცებას. ამერიკასთან დაახლოებას და სხვ. გაამართლებს თუ არა მომავალი ასეთ იმედებს, ეს სხვა საკმეა, მაგრამ ხელშეკრულების პირობებში გაცნობა ჩვენც სწორეთ იმაში გვარწმუნებს, რომ რუსეთის საბჭოთა რეჟიმის განმტკიცების და, მაშასადამე, რუსეთის საქართველოზე ბატონობის იდეას თუ შეეწირა მსხვერპლათ ჩვენი ქვეყნის ეს უდიდესი დოვლათი, თორემ სხვა არაფერი გარდა უსაზღვრო ზარალისა ამ კონცესიიდან არ სჩანს და არამც თუ ჩვენი ხალხისთვის, თვით საბჭოთა ხალხისთვისაც. ამიტომ საკვირველია სწორეთ, რომ ბოლშევიკები კონცესიის პოლიტიკური მხარის დაცვას არ ჯერდებიან და ჭეშმარიტათ გასაოცარის უტიფრობით ცდილობენ ამ კონცესიის ეკონომიურ მხარის არამც თუ დაცვას, არამედ იმის უაღრეს მნიშვნელობის დამტკიცებასაც.

ჭიათურის მრეწველობას ისეთი თვალსაჩინო ადგილი ეჭირა საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში ამ უკანასკნელ 25—30 წლის განმავლობაში, იმას ისე კარგათ იცნობს ჩვენი თაობა, რომ სოფელ პეროვკისის იმ საწყალმა ჩალვადარმაც, ჭიათურის რკინის გზის ბაკანს რომ არ გასცილება, კარგათ იცის ჭიათურის შავი ქვის ღირსება და მნიშვნელობა. ამიტომ სრულიად გასაკვირი არ არის, თუ ბოლშევიკიური პროპაგანდამ ვერ გასჭრა და ჭარიმანთან დადებული ხელშეკრულება. როგორც თვითონ შ. ელიავამ საქართველოს პროფსაბჭოს გაფართოებულ პლენუმზე განაცხადა, ჩვენ საზოგადოებაში და თვით კომუნისტურ პარტიის ჯგუფებშიც კი «სხვადასხვა მითქმა-მოთქმასი» იწევენ. მართლაც, საბჭოთა «ეესპერტებს» ინდოეთ-ბრაზილიის შავი-ქვის წარმოების ბედზეის მაგიერ საკუთარი ქვეყნის წარმოება. თუნდაც ამ უკანასკნელ წლების სტატისტიკის მიხედვით (თუ ამ სტატისტიკის ცოტა-რამე თვითონ მაინც სჯერათ) რომ გაეთვალისწინებიათ, ჭარიმანის პირობებზე ხელის მოწერას ვერ ურჩევდენ ჭიათურის ბედის გადამწყვეტად და თუ ეს ურჩიეს, ის მაინც უნდა ეთქვათ, რომ ამ კონცესიის ეკონომიურ მხარის საჯაროთ დაცვა შეუძლებელია. ჭარიმანი ჩვენში, რასაკვირველია, თავის მოსაცუფებლათ არ წამოსულა, როგორც ეს საბჭოთა პრესის სურს ქვეყანას მოაჩვენოს; პირიქით, ის უთუოდ დარწმუნებული იყო, რომ თუ ახლა არა, იგი ვერასოდეს ხელში ვერ ჩაიგდებდა ასე მუქთად თავისი ხარისხით, რაოდენობითა და მდებარეობით მსოფლიოში საუკეთესოთ ცნობილ ჭიათურის შავ ქვას. და ასეთი მისი მოსაზრება გამართლდა კიდეც: საბჭოთა მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულებაში ჭარიმანმა მიაღწია ყოველგვარ, სწორეთ გაუგონარ, დათმობებს და გარანტიებს. ახლა ეს ხელშეკრულება, ეს სმარცხვინო აქტი, ბოლშევიკებს სურთ დიდ სასიქადულო საქმედ გაასაღონ. მერე რა საბუთებით?

საბუთი პირველი არის პრინციპიალური მოსაზრება, მოსაზრება მეტათ საინტერესო. «კონცესიით გაკეთდა. სწერს სა‌ქ. კომ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი სათლოქო და სამაზრო. კომიტეტებისთვის დაგზავნილ საპროპაგანდო ტეზისებში, დასაშვებია სასალონო მეუნონობის ისეთ დარგის, რომელსაც ან სრულებით არ საჭიროებს ჩვენი წარმოება და მისი პროდუქცია მთლად სახლვარ-გარეთ იგზავნება. ან და ეს დარგი იმდენად მდიდარია ჩვენს კავშირში, რომ მინიგან საჭიროებას სპარობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ზედმეტის კონცესიით გაკეთა შესაძლებელიაო» (იხილე «ᲙᲝᲛᲝᲬᲘᲡᲢᲘᲐ» № 1-4).

არც კერძო მრეწველობაში, არც სახელმწიფო მეურნეობაში ასეთი პრინციპით ჯერ არსად უხელმძღვანელებიათ. გონიერი მრეწველი, მაგალ., ხელს უშვრის და ძვირათ ფასობს არა იმას, რაც მხოლოდ მას ესაჭიროება, არამედ იმას, რაც მყიდველისთვის არის საჭირო და აუცილებელი და თუ მასთან არ იყიდა, სხვასთან იმას ვერ იშოვის; კონკურენციის, ზარალის ასეთ შემთხვევაში მას არ ეშინია, რადგან მისი მდგომარეობა არის მთლიანაღ-ფილი. სახელმწიფო კი ისე ნაწარმოებით, რაც «ᲗᲐᲛᲐᲠ სახᲔᲗᲐᲠᲒᲐᲠᲗᲐᲜ იᲬᲘᲕᲜᲔᲑᲐ», სავაჭრო ბალანსის გასაუმჯობესებლათ სარგებლობს და უცხოელებს ასეთ საჭირო იარაღს ადვილათ ხელში არ ჩაუგდებს ხოლმე. მაგრამ ᲗᲘᲗᲝᲠᲘᲜᲘ მრეწველობის საკონცესიოთ გაკეთბის დამახასიათებელი მაინც სულ სხვაა და არა «ᲡᲐᲯᲣᲗᲝᲠᲘ საᲭᲘᲠᲝᲑᲘᲡ» თუ «ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲘᲤᲝ-ᲒᲐᲠᲗᲐᲜ გასატან საქონლის» სახᲔᲚᲘ [*]). ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘᲗᲐᲜ სახელმწიფო საკონცესიოთ იძლევა დაუშᲕᲘᲗᲐᲕᲔᲑᲔᲚ, ᲩᲮᲘᲠᲐᲜ სიმდიდრის მᲮᲠᲘᲕᲘᲗ საᲪᲘᲗᲮᲘᲠᲘᲗ. ყოველ შემთხვევაში ისეთ სიმდიდრეს, რომელზედაც თუ წინასწარ დიდი თანხა არ დაიხარჯა, იგი მᲩᲔᲓᲐᲠᲘᲐ და გამოუსადგარი; ხოლო თვით სახელმწიფოს არ ძალუძს ასეთ საქმეზე ᲑᲔᲕᲠᲘ ფულის დახარჯვა, ან სხვა უფრო საᲭᲘᲠᲝ საქᲛᲔᲔᲑᲘ მრავალი აქვს გასაკეთებელი. ვინც ასეთ «ᲛᲫᲘᲜᲐᲠ-ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ» ᲐᲐᲛᲔᲫᲘᲜᲐᲕᲔᲑᲡ, ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ «ᲠᲘᲡᲙᲘᲡ» გასწᲕᲘᲡ და კაპიტალის შემოტანას იკისრებᲡ—ᲘᲐ იმას სახელმწიფო განსაკუთრებულ შᲔᲛᲬᲘᲜᲔᲑᲐᲡ აძლევს. ასეთი პრინციპით ხელმძღვანელობენ ყოველგან, წარმოიდგინეთ სპარსეთშიც, ჩინეთშიც, აფრიკაშიც. ისეთი მოᲬᲧᲝᲑილი სამრეწველო რაიონის საკონცესიოთ გაკეთბა. რომელსაც უᲫᲘᲗ მიღილიები შემოაქᲫᲘᲗ, ჯერ არ გაგიგია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გამარჯვებული სახელმწიფო დამარცხებულს ხელს აიღებინებს ხოლმე ცხობილ სამრეწველო რაიონᲗᲒᲠᲘᲗ კონტრიბუციის სასწრაფოთ განსაᲙᲔᲓᲚᲔᲚᲐᲓ; მაგრამ ამას უკვე კონცესიას კი არ ეძახიან, არამედ «ᲡᲐᲮᲔᲚᲘ-ᲙᲘᲡᲐ» ᲓᲐᲔᲚᲐᲓᲐᲜᲔᲑᲐᲡ...

რუსეთსა და საქართველოს თითქმის ყოველგვარ ნაწარმოებში ყიᲜᲘ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტები, არ ყიᲜᲘ მხოლოდ მარᲯᲕᲔᲜᲘᲗ; რუსეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე ᲗᲘᲗᲝᲠᲘᲜᲘ მრეწველობა ყოველ ერთი დარგი, რომელიც გადარჩენᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲘᲗᲘᲡ განუᲬᲧᲕᲔᲢᲚᲘᲗ (არმისტისის შემდეგ) დიდ შემოსავალს იძლევდა. და აი ასეთი პრივილეგიური მდგომარეობა, ასეთი გაᲩᲔᲓᲑᲣᲚᲘ მრეწველობა საბᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗ «ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲐᲚᲘᲡᲣᲠᲘ» მოსახᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲘᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ დაᲬᲘᲗᲐᲛᲘ: ᲛᲐᲕᲘᲗ ᲩᲕᲐ ᲩᲕᲔᲠ მᲘᲜᲘᲡ კარᲨᲘ, ᲒᲐᲓᲐᲐᲪᲣᲗᲝᲗᲘ სᲘᲩᲘᲠᲘᲗ-ᲩᲔᲡᲢᲝᲕᲜᲘᲡ ᲪᲘᲠᲩᲘᲜᲘ ᲠᲯᲘᲜᲘᲡ-ᲒᲖᲘᲡ ᲚᲘᲜᲘᲓᲒᲐᲜ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲚᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲝᲐᲬᲧᲝᲗ ᲤᲝᲗᲝᲜᲘᲗ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲗᲐᲠᲘᲗ ᲐᲛᲐᲗᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲘᲗ 4 მილ. დოლარი (დაახლ. 8 მილ. მანეთი). ეს არის კონცესიონერის უმთავრესი ᲯᲐᲚᲔᲑᲘᲡᲣᲚᲘ, რასაც ᲑᲝᲚᲨᲘᲕᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲐᲗ ᲐᲢᲝᲛᲘᲗᲔᲑᲘ. [**])

მართლაც, ᲗᲘᲗᲝᲠᲘᲜᲘ რომ უᲫᲐᲑᲚᲔ ᲧᲘᲗᲘ, იქᲐᲜᲘ მᲐᲓᲐᲚᲔ გამოსაკᲔᲚᲕᲘᲗ და წარᲛᲝᲗᲐ ᲐᲮᲚᲐᲠ მᲝᲡᲐᲬᲧᲝᲑი, 4 მილ. დოლარის გᲐᲫᲘᲗᲐ კონცესიონერის მიერ თუ დიდი ᲐᲠᲐ, მაინც თვალსაᲩᲘᲜᲔᲚᲘ იქᲜᲔᲑᲝᲗ: მაგრამ ᲗᲘᲗᲝᲠᲘᲜᲘᲗ ᲮᲝᲛ ᲒᲐᲕᲠᲘᲐᲚᲘᲜ დიდი ᲮᲜᲘᲗ წარᲛᲝᲗᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ; იყო წლები, როცა აქᲔᲓᲐᲜ თამᲐᲛᲘᲗ გაᲐᲭᲘᲜᲔᲓᲐᲜ იმᲐᲖᲔ მᲔᲢი ᲩᲕᲐ (მაგ. 1913 წ.—1.061.730 ტონა), რაც ᲐᲮᲚᲐ, როგორც მᲘᲜᲘᲨᲕᲘᲗ, დაკᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ აქვს კონცესიონერს (800.000 ტონა) და მოსახᲠᲗᲔᲑᲔᲚᲘᲐ იყო მᲔᲢᲘᲗ დამᲮᲐᲓᲔᲑᲐ და ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ, თუ ᲐᲛᲘᲡ მᲝᲛᲗᲮᲝᲕᲜᲔᲚᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲗ. ᲐᲚᲐ რომ კონცესიონერმა არაფერიც რომ არ შემᲝᲛᲗᲮᲝᲕᲜᲔᲚᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲠᲘᲜᲘᲗ

---

[*]) «ᲚᲔᲜᲘᲜ-ᲒᲝᲚᲓᲤᲘᲚᲓᲘᲡ»-ᲘᲡ (ᲚᲔᲜᲘᲜ ᲝᲩᲠᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲔᲑᲘᲡ) კონცესიის განᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲠ ᲨᲔᲮᲐᲠᲘᲐᲠᲘᲡ ᲑᲝᲚᲨᲕᲘᲗᲘᲐᲥᲘᲐᲠᲘ: ᲡᲐᲘᲜᲢᲠᲘᲗᲠᲘᲡᲗᲐᲜ ᲘᲪᲘᲛᲝᲓᲐᲗ, ᲗᲣ თუ ᲘᲛᲘᲢᲛᲝᲛ, რომ ᲝᲩᲠᲘᲡᲗᲐᲜ: «ᲐᲮᲐᲠ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲑᲘᲡ» ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲘᲤᲝᲗ?

[**]) ყოველივე ამ გაუმჯობესებათა ᲒᲔᲒᲛᲐ დიდი ᲮᲜᲘᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ და თვითონᲗ ᲗᲘᲗᲝᲠᲘᲡ მრეწველები ᲨᲗᲐᲜ იᲧᲕᲜᲔ ეს მᲝᲛᲬᲧᲝᲗᲐᲗ, რომ დასკᲚᲔᲠᲓᲐᲗ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურაში უკვე ჩადებულ «კაპიტალს», ის არამც თუ მინიმუმს, მეტსაც ადვილად გახდავს. ჭიათურის დღევანდელი მოწყობილობა ფასდება 80 მილ. მანეთი; ამ ქონებით კონცესიონერი მუქთად ისარგებლებს 20 წლის განმავლობაში; ხოლო ჰარიმანის კონცესია რომ ჩვეულებრივ კონცესიის გვგდეს, ე. ი. ჭიათურაში რომ წარმოების ახლად მოწყობა იყოს საჭირო, მას. კონცესიონერს, წარმოების დღევანდელ დონეზე დასაყენებლათ დასჭირდებოდა აღნიშნული 80 მილ. მანეთის ქონების შეკეთება ჭიათურაში, როგორც ეს ყოფილან მრეწველებმა და სახელმწიფომ შეჰქმნეს და ეს ქონება, როგორც საზოგადოთ შემოლებელია, კონცესიის ვადის გასვლის შემდეგ სახელმწიფოს უნდა დარჩენოდა. ახლა კი ჰარიმანი თავისუფალია ასეთ ხარჯიდანაც (80 მილ. მან.) და ამ თანხის სარგებლობიდანაც, რაც (სარგებელი) 4 პროც. რომ ვიანგარიშოთ 20 წლით შეადგენს 64 მილ. მანეთს. ესე იგი: კონცესიონერი თავისუფალია 144 მილ. მანეთის ხარჯიდან, სამაგიეროთ 80 მილ. ეს ოკისრა მხოლოდ 8 მილ. მან. დახარჯვა. ამას ქვია ბოლშევიკების აზრით კონცესიონერის მიერ დიდი კაპიტალის წარმოებაში ჩადება და დიდი «რისკი»!

საბუთი მესამე—სატონო გადასახადის და მთავრობის შემოსავალის რაოდენობა.

ზემოთ აღნიშნულ დათმობების საკომპენსაციოთ სახელმწიფო იხდევინებს კონცესიონერს განსაზღვრულ გადასახადს. «კონცესიის მიღებისთვის და, კერძოთ, უფლებების და პრივილეგიების მინიჭებისთვის კონცესიონერმა მთავრობას უნდა გადაუხადოს სატონო» გადასახადი 3 დოლარის რაოდენობით თვითეულ გატანილ მშრალ ტონაზე პირველ სამი წლის განმავლობაში და 4 დოლარის რაოდენობით კონცესიის შემდეგ წლებშიი-ო, ეკითხულობთ საბჭოთა გაზეთებში.

პირველ შეხედვით ეს კარგი გადასახადია. მაგრამ, არის მართლა ამ გადასახადში რაიმე კომპენსაცია სახელმწიფოსთვის თუ ამ გადასახადითაც კონცესიონერი ძალიან მოგებულია? საერთაშორისო ბაზარზე ახლა მარგანეკი ფასობს—ერთეული 21—22 პენსი ანუ ტონა (ზღვის ფრახტის გამოკლებით—15 შილ.) დაახლოებით 3 გირვ. სტერლ., ე. ი. 14,4 დოლარი; გამოვაკლოთ ამას 0,85 დოლარი რკინის-გზის ხარჯი, რჩება 13,55 დოლარი. ჰარიმანი აძლევს მთავრობას სატონო გადასახადს 4 დოლარს, ამდენივე რომ მისი ხარჯები ვიანგარიშოთ (მუშა ხელი, მაღაროებიდან გამოტანა და სხვ.), მას რჩება წმინდა მოგება 5 დოლ. ტონაზე. თუ მან წლიურათ 800.000 ტონი გაიტანა, იგი მოიგებს წლიურათ 4 მილ. დოლარს ანუ 100 პროც. ჩადებულ კაპიტალზე (4 მილ. დოლარი), ე. ი. პირველ წელიწადშივე ანაზღაურებს იმ თანხას, რაც მან ოცი წლის კონცესიისათვის იქ უნდა მიიტანოს. 20 წლის განმავლობაში კი იგი მოიგებს 80 მილ. დოლარს ანუ 160 მილ. მანეთს.

საბუთი მეოთხე—რკინის-გზის ტარიფი კონცესიონერისთვის განწესებული განსაზღვრულ რაოდენობით მთელი ოცი წლის განმავლობაში. თუ რა პრივილეგიას ანიუბს ეს პირობა კონცესიონერს და რამდენს კარგავს ამით სახელმწიფო, ამის გასათვალისწინებლათ საკმარისია მოვიგონოთ, თუ რა დიდ როლს თამაშობს მარგანეკის ღირებულებაში რკინის-გზის ხარჯები: ომის წინ, როცა ფუთი შავი-ქვისა ჭიათურაში იყიდებოდა 5—7 კაპ., ომის გადატანა რკინის-გზით ჭიათურიდან ფოთამდის ღირდა ფუთი 12 კაპეკამდის. ღღეს მთელ მსოფლიოში რკინის-გზის ტარიფი გაცილებით უფრო ძვირია ყოველგან, ვინემ ომის წინა დროს იყო. მაგრამ, ესოდენთ, ჩვენებური რკინის-გზები დღეს ისეთ ბედნიერ დგომარეობაშია, რომ საერთაშორისო მოვლენას არ ემორჩილება და არც ამ ოცი წლის განმავლობაში არის მოსალოდნელი ტარიფის გადიდება. კონცესიონერს უპირველეს ყოვლისა შეუძლია ისარგებლოს იმით, რომ ერთი უმთავრესი ელემენტი შავი ქვის თვით ღირებულების მისთვის შუდამ უცვლელი რჩება და მით სხვა კონკურენტებს, რომელნიც მოკლებულნი არიან ასეთ ბედნიერ პრივილეგიას, კონკურენციაში აჯობინოს. როცა ჭიათურის მრეწველები პეტერბურგის ძველ სამინისტროებში სარიგარს და დაკას აწარმოებდენ ჭიათურა-ფოთის რკინის-გზის ტარიფის დასაკლებლათ, ისინი ირწმუნებოდენ, რომ ტარიფის გაიადება გაგვიგიდოლებს კონკურენციას უცხოეთის ბაზარზე და გაცილებით მეტ მარგანეკს გაგზავდავთ, რითაც სახელმწიფოც უფრო მეტს მოიგებსო. ამერიკელ კონცესიონერს კი ასეთი უდიდესი პრივილეგია აქვს მინიჭებული და იმავე დროს იგი არ არას ვალდებული 800.000 ტონაზე მეტი გაიტანოს (1913 წელიწადზე ნაკლები).

რამდენს იგებს, სახელდობ, კონცესიონერი და რამდენს კარგავს სახელმწიფო

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ასეთი სატარიფო პრემიის მინიჭების გამო? თუ წინანდელ რკინის-გზის ხარჯებს წინაგარიშებთან ფუთზე მხოლოდ 8.48 კაპ. (1913 წლის ალრიცხვა) *), ხოლო კონცესიონერთისა დაწესებულეს ფუთზე 2.8 კაპ. (ტონა—0,85 დოლ.), სახელმწიფო ფუთმიბს მაა ფუთში 5.68 კაპ., ხოლო ტონაში 3 მ. 46 კ. თუ კონცესიონერმა 800.000 ტონა გაზიდა წლიურად, იგი იგებს რკინის-გზის ხარჯში და ასელმწიფო კი კარგავს წლიურად უკანასკნელ 2.768.000 მან., ხოლო ოცი წლის განმავლობაში 55.360.000 მანეთზე მეტს.

ᲡᲐᲑᲣᲗᲘ ᲛᲔᲢᲣᲗᲘ.—საბჟოთა პრესა საზოგადოებას და თავის თავს ანუგეშებს, ლიფოონის წარმოება რომ მსოფლიოში დაეკავ, კონცესიონერი ვალდებულია განსაზღვრული მინიმუმი შავი-ქვის მაინც გაზიდოსო. ასეთ მოსაზრებაზე ანგარიშის აგება ვერაფერი ნუგეშის მომცემია, რადგან მეტალურგიანში დეპრესიის მოლოდინი არსაიდან სჩანს; პირიქით, ომიდან დაზარალებული სახელმწიფონი წელში იმართებიან, ყოველგან აღმშენებლობა იწყება და ლიფოონის წარმოებაც მატულობს. ასე. დამზადებული იყო:

იტალიაში	ფოლადი	1921 წ.—	700.000	ტონა	1924 წ.—	1.179.200	ტონა.
ბელგიაზე	«	1923 «	2.296.884	«	«	2.850.524	«
ინგლისში	«	1921 «	3.624.800	«	«	8.217.100	«
გერმანიაში	«	1923 «	5.900.000	«	«	8.500.000	«

ამიტომ, თუ დღევანდელ საერთაშორისო წარმოების ტენდენციას ანგარიშს გაუწევთ, მარგანეცის მოთხოვნილებამ უნდა იმატოს და კონცესიონერს არც ამ მხრივ არავითარი «რისკი» მოელის, რომ თუნდაც ამით გამართლებულ იქნეს მისთვის მიცემული პრივილეგიები.

არც ის არის მართალი, თითქოს ამერიკა უნდა დარჩეს ჩვენი მარგანეცის უდიდესი ბაზარი (რასაკვირველია, თუ იმას მუქთად არ დავუთმობდით). ომიდან დაზარალებული ევროპა ჩამორჩა ამერიკას ლიფოონის წარმოებაში, მაგრამ დროებით. იგი ნელ-ნელა უკვე თავს აღწევს ამერიკიდან ამ მხრივ დამოკიდებულებას და შორს არ არის ის დრო, როცა ევროპისა და ამერიკის შორის გაჩადდება ძველი კონკურენცია. ამის ნიშნებიც მოსჩანს. ინგლისს. მაგალ., უკვე ევროპის სახელმწიფოებიდან შემოაქვს ახლა მეტი ლიფოონი და არა ამერიკისგან (ფულის კურსის, ფრანტის და სხვ. გარემოებათა გამო). ამნაირად მომავალ კონკურენციის მოლოდინით ჩვენი შავი ქვის დღევანდელ ბატონ-პატრონთ უნდა ესარგებლნათ; მათ კი წინააღმდეგ ხელი გაუწყვიტეს ამერიკის მომხმარებელთ და ოცი წლის ვადით შავი ქვა ხელში ჩაუგდეს.

ᲡᲐᲑᲣᲗᲘ ᲛᲔᲝᲔᲥᲡᲔ. საბჟოთა პრესას მოყავს კონცესიონერის ზოგიერთი წვრილმანი ვალდებულებანი, რომელზედაც შეჩერებნ ნათქვამის შემდეგ არც კი ღირს, რომ თუნდაც ამ წვრილმან ვალდებულებებში მაინც სჩნდეს რაიმე «ბარაკი». მაგალითად, მთავრობა კონცესიის მთელი ვადის განმავლობაში აძლევს კონცესიონერს გამოსაყენებელთ ფოთის ნავთსადგურის ტერიტორიას, სიგრძით 320 მეტრს და სიგანით 70 მეტრს, და რკინის-გზის და საწყობების ყველა მოედნებს, რომელიც იხმარება შავი-ქვის მადანის შესანახავთ. ყველაფერ ამაში კონცესიონერი იხდის წლიურად 20.000 მან.

«ᲚᲐᲠᲝᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ» ფოთში ომის წინ ღირდა საკენი 3 მან., ამნაირად აღნიშნულ სივრცეში სახელმწიფო იღებდა წლიურად 33.600 მან. ფოთის ტერიტორიაზე და დაახლოებით ამდენსავე ბიათურაში, ე. ი. წლიურად სულ არა ნაკლებ 70.000 მან. ამ თითქოს უმნიშვნელო საგაწრიც კონცესიონერს დაეთმო წლიურად 50.000 მან., ხოლო 20 წლის განმავლობაში 1.000.000 მან.

ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲘᲢᲧᲘᲗ ᲛᲐᲡᲚᲐᲠᲘ უბაკოთ შემოტანის, საიჯარო ფასების შეღავათის და სხვ. შესახებ.

ᲡᲐᲑᲣᲗᲘ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲘ. კონცესიონერი განთავისუფლებულია ყოველგვარ სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებისაგან (სირცხვილია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ იგი იხდის სრულიად უმნიშვნელო სპატენტო, საღერბო და საკანცელარიო გადასახადებს). მართალია, იგი იხდის სატონო გადასახადს, მაგრამ ჩვენ დავინახეთ თუ რამდენ მილიონს იგებს იგი სამაგიეროთ სხვა და სხვა პრივილეგიებით: წმინდა მოგებაზე გადასახადიდან განთავისუფლება, როცა სახელმწიფოს ამ მოგების მონაწილე არ

*) ნამდვილად კი, როგორც ვსთქვეთ, მარგანეცის გადაზიდვა ბიათურიდან ფოთამდის ჯდებოდა 12 კაპიკამდის, სპარტო, საფუთო (ფოთში) და სხვ. გადასახადების მითვლით, რისგანაც კონცესიონერი აგრეთვე განთავისუფლებულია.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

არის, არამც თუ «სოციალისტური», არხი-ბურჟუაზიულ სახელმწიფოებშიც არ არის დაშვებული. «ჩემო» იხდიდა სატონო გადასახადს, იხდიდა რკინის-გზის სრულ ტარიფს. წმინდა მოგებიდან 35 პროცენტს და იმავე დროს «ჩემო»-ში შემავალი თითოეული ფირმა, როგორც ადგილობრივი მრეწველი, იხდიდა ყოველგვარ სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებსაც ჩვეულებრივი ნორმის მიხედვით. ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადები რომ კონცესიონერის წმინდა მოგებაზე (4.000.000 დოლარი დაახლოებით) 20 პროც. ვინაზარიშთთ, კონცესიონერმა ამ პრივილეგიითაც სა-ჩუქრათ მიიღო წლიურათ 800.000 დოლარი, ხოლო ოცი წლით 16.000.000 დოლარი ანუ 32.000.000 მან.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲠᲒᲘ. «პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი პრინციპები და ჩვენი პოლიტიკური სუვერენიტეტი საკუთრივ დაცული უნდა იქნეს საკონცესიო პირობებში»—ᲬᲔᲠᲡ კომ. პარტიის ცეკა თავის ტეზისებში. რამდენათ დაცულია ᲞᲘᲐᲜᲝᲣᲠᲘ კონცესიაში «პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპები» იქედან სჩანს, რომ არამც თუ პროლეტარიატი, თვით საბჭოთა ხელის უფლება, რომელმაც ასეთი სიმდიდრე ოცი წლის ვადით ხელში ჩაუგდო ერთ უცხოელ კაპიტალისტს, არავითარ მონაწილეობას საქმის მართვა-გამგეობაში აღარ იღებს. ხოლო რაც შეეხება «სუვერენიტეტს», აქ ხომ სულ ბეჭრათ არის აგდებული საბჭოთა მთავრობა, რომელმაც ერთ დროს სასიკვდილო ომი გამოუცხადა როგორც საკუთარ ქვეყნის, ისე საერთაშორისო ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲡ. ᲩᲐᲠᲛᲘᲜᲘᲡ ᲠᲐᲜᲐᲠᲘ «ძლიერ მთავრობისაგან» ᲐᲗᲝᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲜᲐᲠᲘᲢᲘᲗᲘᲡ და დამატებითი გარანტიათ ცალკე ხელწერილი მოითხოვა, მერე ვისგან? იმ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲡ წარმომადგენლებისს ნაშთიდან, რომელთაც დღემდის სული შერჩენიათ ᲞᲘᲐᲜᲝᲣᲠᲘᲗ. როგორც საზოგ. «ჩემის» თავმჯდომარის ამხანაგი ბ. ᲯᲮᲐᲯᲘᲐ მოუთხრობს გაზ. «კომუნისტის» თანამშრომელს, გარდა იმ ხელშეკრულებისა, რომელიც ᲩᲐᲠᲛᲘᲜᲘᲡᲐ დასდო მთავრობასთან. მას მეორე ხელშეკრულებაც აქვს აგრეთვე დადებული მავი ქვის მრეწველებთან. ამ უკანასკნელ ხელშეკრულების ძალით «მრეწველები ათი წლის ვადით ᲩᲐᲠᲛᲘᲜᲘᲡ უტოვებენ ორ დოლარს თვითოეულ ტონა შავი ქვის ღირებულებიდან, ეს ორი დოლარი თვითეულ ტონიდან არის გარანტია იმისა, რომ მთავრობა არ დაარღვევს დადებულ ხელშეკრულებას»-ᲝᲗ (იხ. «კომუნისტი» № 138).

ᲩᲕᲝ ᲒᲕᲘᲓᲘᲜᲐ, რომ კრედიტორი კერძო პირთა თუ სახზოგადოებათაგან მოითხოვდა მთავრობის დამატებითი გარანტიის პირობის შესრულებისთვის, მაგრამ მთავრობისაგან მიაცემულ პირობაში დამატებითი გარანტიათ რომ კერძო მოქალაქედან მოითხოვდენ, ეს კი გაუგონარი ამბავია! უნდობლობა და აბუჩათ აგდება ამას იქეთ ვერ წავა: უდიდესი რუსეთის დღევანდელი «სუვერენული» მთავრობა ერთმა ამერიკელ კაპიტალისტმა მუსლუზ დაარჩა არამც თუ საერთაშორისო კაპიტალის წინაშე, ᲞᲘᲐᲜᲝᲣᲠᲘᲡ კერძო მრეწველთა პაწია ᲯᲒᲣᲤᲘᲡ წინაშეც. ასეთი აღმოჩნდა ჩვენს სარდაფებში უძლეველთა ძლიერება იქ, სადაც ჩვენ ვერ მისწვდება—საერთაშორისო საქმიანობის სფეროში!

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲔᲠᲒ. ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲘᲗᲐ ᲬᲔᲠᲓᲐ, რომ ᲞᲘᲐᲜᲝᲣᲠᲘᲡ კონცესიაში ევროპის სახელმწიფოთა კაპიტალისტებიც დაინტერესდენ და ᲩᲐᲠᲛᲘᲜᲘᲡ კონცესიის აქციებს ყიდულობენო. ოღონდაც! ვინ არ მოისურვებს მუქთად ნაშოვნ დოვლათში მონაწილეობის მიღებას, თუ კი მას ხელი მისწვდება. ხოლო ამ გარემოებაში საინტერესო ის არის, რომ ᲩᲐᲠᲛᲘᲜᲘᲡ (რომლის ნიშა და ქონებას დიდ ᲥᲔᲓᲐᲗᲐ-ᲥᲔᲓᲐᲗ უძღვნიდა საბჭოთა პრესა) ცდილობს იმ ვალდებულებათა ნასახდანაც, რომელიც მას აქვს დაკისრებული, სავსებით თავი დაიძვრინოს და ეს პასუხისმგებლობა აქციების სახით დააქუცმაცოს და მსოფლიო ბაზაზე გაანბიოს. ნიშნავს ეს იმას, რომ ᲩᲐᲠᲛᲘᲜᲘᲡ იმედი აქვს ოცი წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის თუ იმის, რომ ამის იმედი არა აქვს, არ სჯერა საბჭოთა რეჟიმის სიმტკიცე და არც მომავალ ხელისუფლებასთან, ვინც უნდა იყოს იგი, მას არა აქვს არსებულ პირობებზე შეთანხმების იმედი და, თუმცა ამისთვის კერძო მრეწველების გარანტიაც აქვს, მაგრამ მაინც უფრეკნია ახლავე თავისი გაინადოდს და საკუთარი პასუხისმგებლობის მაგიერ უსახელო და უტიცხე აქციებს თავი შეაფაროს?

ახლა მაინც თუ სარგებლობს ნეტავი საბჭოთა ხელის უფლება, რომ საბაზრით გამოშვებული მათ განკარგულებაში ყოფილი სიმდიდრის აქციები შეიძინოს და სანამ კონცესიონერი აღნიშნულ პრივილეგიებით და მოგებით ისარგებლებს, ამ პრივილეგიების და მოგების მცირე მონაწილე მაინც გახდეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი რომ მოეუყაროთ ყველაფერს, რაც გაბნეულია ჭიათურის კონცესიის ხელშეკრულებაში და იმის დამცველთა კომენტარიებში, ჩვენ მივიღებთ შემდეგ სურათს:

1. ჭიათურის კონცესიის ხელშეკრულებით საბუთთა ხელის უფლებამ საქვეყნთა აღიარა, რომ იგი არამც თუ მზათაა ბურჟუაზიასთან ითანამშრომლოს, არამედ მზათაა ეს თანამშრომლობა უსაზღვრო ნივთიერ ზარალისა და მორალურ დამცირების ფასათ შეიძინოს;

2. ამ მიზნის მისაღწევათ მან გამოსტაცა საქართველოს ოცი წლის ვადით შემოსავალის უდიდესი წყარო და ისედაც შერყეული საქართველოს სახალხო ბიუჯეტი საშინლათ დაუძლურა;

3. მთელ თაობას, რომელიც ამ ოცი წლის განმავლობაში საკუთარ სამრეწველო მეურნეობაში მიიღებდა გამოცდილებას და მით საშრომლოს მომავალ კეთილდღეობას წინ წასწევდა, იგი სტოვებს საკუთარ ქვეყანაში უცხო კაპიტალისტების თარეშის უმოქმედო მოწმეთ;

4. როგორც ყოველთვის, ისე ამ შემთხვევაში, ბოლშევიკები ითვლიან მხოლოდ მოსალოდნელ შემოსავალს, ხოლო იმას, რასაც თვითონ იძლევიან, რასაც ხაზინა და ქვეყანა ნაღდათ კარგავს, იმას კი იეიწყებენ. ასეთია მათი ბუჰგალტერია, მათი ანგარიშის წესი. ამიტომ ჭიათურის კონცესიის გამო საბუთთა პრესაში წარმოებული კამპანიაც და ციფრებით აჭრელებული წერილები ცარიელი ბაქნ-ბუქია შეგნებულათ თუ შეუუნებელათ წარმოებული ზემოთ აღნიშნულ მწარე სინამდვილის დასავიწყებლათ და იმ რეალურ ზარალის ჩასაფუჭებელათ, რომელიც 400 მილ. მანეთს აღემატება. ეს ასეული მილიონები დანაკლისია მხოლოდ ხაზინის: ხოლო ის, რაც საქართველოს სახალხო მეურნეობამ ამ ოცი წლის განმავლობაში უნდა დაკარგოს—მოგების, საადმინისტრაციო ხარჯების, მუშათა ქირის და სხვადასხვა ღირებულებათა უცხოელების ხელში გადასვლით, ეს კიდევ ზედმეტია.

და ნუ თუ იმისთვის გაგვრანდა ძველთ არსებული წარმოება და მრეწველობა, ნუ თუ იმიტომ გამოეცხადა შეუპოვარი ბრძოლა «ბურჟუაზიის» და იმიტომ ისპობა ეროვნული მრეწველობა, რომ ათეულ წლობით შექმნილი სახალხო სიმდიდრით, კერძოდ და სახელმწიფო საკუთრებით და მრეწველობით, და თვით ხაზინის წმინდა შემოსავლითაც ვინმე ამერიკელ შუამავლის შემწეობით გამონახულ უცხონ და გადამბიელ აქციონერებს ხელი მოეთფოთ!

რას ნიშნავს ეს—კომუნისტების სამეურნეო პოლიტიკის გაკოტრებას, თუ გაბოროტებულთა შურისძიებას და უპასუხისმგებლო თარეშს სხვის ქვეყანაში?

თუ საბუთთა ხელის უფლებამ ამნაირათ გადასჭრა უდიდეს და საუკეთესო სიმდიდრის, ჭიათურის შავი ქვის ბედი, როგორი უნდა იქნეს ბედი იმ კონცესიების, რომელსაც არც იმდენი მუშტარი ყავს და არც ისე მომხიბლავია, როგორც ჭიათურა, მაგრამ რომელთა გაცემას მაინც გამწარებული ცდილობენ საბჭოთა აგენტები ევროპის და ამერიკის კაპიტალისტთა შორის?

ბოლშევიკების საქმინობა თუ ამ გზით წარიმართა, ცხადია, ძველი რუსეთის ნანგრევებზე უცხოთის ბურჟუაზია გაბატონდება და ძველი ჩინეთის მაგიერ, რომლის «გამოღვიძებას» საბჭოები დღეს «ხელს უწყობენ», ისინი ახალ «ჩინეთს» საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩაუყრიან საფუძველს: საქართველოს კი ორშვიკი ბატონობა მოელის: რუსეთის და რუსეთის საშუალებით საერთაშორისო მტაცებლების.

ვ. კანდელაკი.

გაკვრით.

კაფე ვოლტერის აყალმაყალმა ისტერიკაში. ჩაადგო საქართველოში კომუნისტები, ხოლო აქ მათი ამქარი ვეშაპელისტები. ესენი ახლა ითხოვენ თავისუფლებას! ვისთვის, მარტო თავისთვის თუ სხვებისთვისაც? რა უფლება აქვთ მოითხოვონ კრების და პროვნების თავისუფლება, როცა საქართველოში არც ერთი ეს არსებობს, ძალმომრეობა ერთათ-ერთი კანონი და ბატონია მთელი ეროსათვის. როცა ჩვენ ვიცავთ აზრთა თავისუფალ შეჯახებას—ეს გამოდის ჩვენი, დემოკრატიის, ძირითადი დებულებისაგან. ხოლო როცა ეს ეაკბატონები ამასვე იცავენ პარიზისათვის, სამაგიეროთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას უარსყოფენ საქართველოსათვის—რას ნიშნავს ეს თუ არა აშკარა იეზუიტობას, ფარისეველობას და თვალთმაქცობას! ვეშაპელს თავისუფლების მნიშვნელობა გაახსენდა მაშინ, როცა მას ვეგრიდში მოხვდა, და არ გახსენებია მაშინ, როცა ქართველ ხალხს ყოველ ცისმარე დღე ვეგრიდებს ამტვრევენ, საუკეთესო მამულიშვილთ ახრჩობენ და აწამებენ; ამას ის ტაშს უკრავს და უცხოეთიდან ამხნევებს. ხოლო ვიდაც დედა-კაცის «შლიაპებზე» ცრემლს ღვრის, ამ დიდ კაცებს როგორ გაუბედეს ხელის შეხებაო! ახლა მათ სასამართლოსათვისაც კი მიემართოვთ—ბეკასეიეთო! სწორეთ საინტერესო სპექტაკლი იქნება ის სხდომა, სადაც ძალადობის მოციქულნი დემოკრატიული ბარანტიების მოთბოვნილებათ წამოაყენებენ! მოპასუხენი კი ისე ხვარენია, რომ ამ იეზუიტების ფაქტები არ დაუპირდაპირონ, მათი საქმენი საგმირონი არ ვამოამბეფურონ. აი წიგნი ეკრმანნულათ გამოცემული—«ტერორი საქართველოში»», საკმარისია ის ეინმეს წაიკითხოს, ან რენოდელის სიტყვას გიეცნოს. რომ კაფე ვოლტერის მოტირალნი და მთელი მათი კამანდა სამარცხვინო ბოძზე იქნან გაკრულნი.

* * *

ეს ვაუბატონები ამით არ ითავვებენ თავის საჩივარს. მათ მიუმართავთ «ადამიანის და მოქალაქის უფლების ლიგისათვის»: დეკლარაციით და მოეთხრობენ თავის გალაღვნის ამბებს. საყურადღებო აქ ის არის, რომ აცცადებენ ჩვენ კომუნისტებენ არ ვართო. მაშ ვინ არიან? კომუნისტების ნადი, მათი დაქირავებულნი? ჩინებული რეკომენდაციაა, სწორეთ. აი ეს გასჯარის ლიგაში. კომუნისტის დამბმარე ვართ მხოლოდო! ეს ჩვენ კარგადხანია ვიცოდით, მათ ალაპარაკებს არა იდეიური მოტივები, არა მართლა კომუნისტური სიხმრები, არამედ ბვარიან რეალური მოსაზრებანი. პატიოსანი შრომით თავის რჩენას ამჯობინეს ბოლშევიკური «შრომა»—(ე. ი. სხვის ხარჯზე). აი ეს მართლაც საბუთია! ბოლშევიკების აგენტობა დიდათ სარფიანი ხელობაა. როცა საქართველოში სხვადასხვა ბანცსადებებზე ხელს აწერიებენ. ეს გასაგებია, ამით წამებას და დახვრეტას თავიდან იცილებენ. მარა როცა აქ, ევროპაში, ასეთსავე განცხადებებზე ხელს აწერენ, აშკარაა არა შიშით, არა ტერორის ქვეშ, არამედ ანგარიშით. ასეთ ხალხსეა ნათქვამი:

მათი საქმე ერთი ლუკმა პურია!
გადაუგდიან გაჩუმდება მურია!

ვეშაპელის მურიების ადგილია არა მოქალაქის დამცველი ლიგა, არამედ მოქალაქის მტანჯველი ჩეკა.

* * *

და აი, ეს მათი მფარველი ჩეკაც ახმაურდა, ახმაურდა მისებურათ, ხულიგანურათ. თუმცა სრულიად აშკარაა, რომ მთელ ამ ემიგრანტულად აყალმაყალში არავითარი კავშირი არ აქვს სოც.-დემ. ორგანიზაციას, მეხუთეკაუნ პარტიას, მარა ჩეკა რის ჩეკაა, რომ სისხლი არ მოსწყურდეს და მისი დასანთხეკი სბაბი არ ეძიოს. ქართველ ეროვნულ კომუნისტებ არ ეყოთ შარშანდელი სისხლი, ანდა კიდევ მოუწდათ და პოლიტიკურ ტუსაღთ ხელ-ახალ ვარფალმეიის დამეს უმზადებენ. აი ყური დაუგდეთ ამ ნაძირალთ:

«ამასთან ერთათ ვაცხადებთ კატეგორიიულათ, რომ კორდანია-რამიშვილის ბანდის ყოველ ახალ ხულიგანურ გამოსვლას(!!) საბუოთა საქართველოს მოქალაქეთა წინააღმდეგ უცხოეთში ჩვენ ვუპასუხებთ სასტიკი გამანადგურებელი ზომებით მეხუთეკაკების არა-ლეგალურ მოჩხირკედელეებს წინააღმდეგ საქართველოში. რომელნიც ჩვენი წეს-რიგის დამცველ ორგანოების ზედამხედველობის სფეროში იმყოფებიან გარეთ ან უკვე ჩაკეტილი არიან ჩეკის კლიტულნი» (კომ. № 9 სექტ.).

თუმცა ამ ხელეკეტიან და თავრეტიან ხალხს კარგათ მოეხსენება, რომ არავითარი «კორდანია-რამიშვილის ბანდა» არ არსებობს და არც რაიმე «გამოსვლა» მოუწყვიათ, მარა ისინი ქმებენ ახალ მსხვეპრსს. საკმარისია აქ ვეშაპელ-კარუხაშვილს თავისი პროფოკატორური მოქმედებისათვის ეინმემ სილა გაარტყას, რომ იქ ამ სვავებმა პოლიტიკური ტუსაღების სისხლი დაღიონ. საკმარისია აქ ემიგრანტთა შორის ჩვეულებრივი აურზაური ატყდეს, რომ იქ შური იძიონ უდანაშაულო ხალხზე. გამოდის, რომ ჩვენ მათ აქაფტ «მოქალაქეთ» ყარაულებათ უნდა დავუდგეთ, რომ არავინ შეეხოს! არა, ხელეკეტიანებო, ვერ შეგვაშინებენ. სჯობს თქვენ თვითონ მოთოკოთ ეს თქვენი პროფოკატორები, რომელნიც დაძღწიან და თვითეული ქართველს მიმართავენ—«ი ბიჭო, ორმოცდაათი დოლარი თვიურათ, ოღონდ ხელი მოიმიწერეო. ეს სათავე კინწალობისა. და თუ თქვენ ამას ვანგებ ჩადიხართ, მიზეზის საშოვნელათ, რომ იქ ჩვენ ამხანაგთ ვერაგულათ გაუსწორდეს, იცოდეთ ეს ველეურობა დაუსჯელათ არ ჩაგივლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეკის საღდეგრძელოთ ბოლშევიკებს ჩამოყავთ საქართველოში ევროპის სხვადასხვა მოხეტიალე პიროვნებანი, არქმევენ მათ «დელეგაციებს». თუმცა ისინი ნამდვილათ თავისთავის დელეგატებია და ამდერებენ ჩეკისტურ პანგებზე. ამ ხანათ ისინი თავს იქცევენ გერმანელი «დელეგატებით». ვისი წარმომადგენელია ისინი—არავინ უწყის. ამას არ ამხელენ არც სტუმრები, არც მასპინძელნი. და ან ამ მოგზაურებმა მიმართეს ქართველ ხალხს მანიფესტით—იწამეთ ბოლშევიკებოო! («კომ. № 175). სწორეთ გასაკვირალია ის უტიფრობა, რომლითაც ისინი უმასპინძლდებიან ამდენი ტყუილებით ქართველებს! ყოველივე ეს ამბავი თვითეულ ქართველს ჩინებულათ მოეხსენება, იცის რომ გერმანელები ტყუილს იცხობენ და მიუხედავათ ამისა ბოლშევიკები ასეთ დოყუშენტს ჩვენშივე აქვეყნებენ. აი მათი მთავარი დასკვნები: საქართველოს აქვს სრული ნაციონალური თავისუფლება. გლეხებმა მიიღეს ბოლშევიკებისგან სხვილი მემამულეების მიწები. მათ შემოიღეს 8 საათის სამუშაო დღე—ერთი სიტყვით ძირითადი ცვლილება ნაციონალურ, სოციალურ და აგრარულ სფეროში ბოლშევიკებს შემოუღიათ და ამიტომ ხალხი «ბაარს უუჭეს ახლანდელ საქართველოს მთავრობასო»! არაფერი ამის მსგავსი რასაკვირველია, არ მომხდარა; დემოკრატიულ საქართველოს ნამუშევრის ბოლშევიკებისათვის მიწერა ამკარათ მოწმობს იმას, რომ მოსკოვის აგენტებს არავითარი საბუთი ჩვენში ბატონობისა არ მოეძებნებათ და იძულებული არიან უცხოელთ სოც.-დემოკრატიული თავვრობის მოდგაწეობა თავისათ მოაჩვენონ. ხოლო ესენიც იმიტომ არიან მოსულნი, რომ ყველაფერი მათ დაუჯერონ და ასე შავი თეთრათ გამოაცხადონ. თავის როლში თავიდანვე დაეჭვიანებულან და წინდაწინ გვაფრთხილებენ: «ჩვენ მოსყიდულთან გამოგვაცხადებენო»! შეიძლება. ყველაფერი მოსალოდნელია. ჩვენ კი გვგონია რომ ეს ბელ-ბეკ-ბენეკიანი ან მეტათ ყრუ ხალხია ან უბრალო ქვეყრებია, რომელნიც იძახიან იმას, რასაც ბოლშევიკები ჩასძახებენ. ასეთი ტყუილის ვეკერები არა თუ ჩვენში, ევროპაშიაც ვეღარ პოულობენ გამოძახილს. საქართველოს საკითხი აქ სრულიად უდაოთ აღიარებულია ყველა წრეში.

* * *

როგორი ნაციონალური თავისუფლების მომხრეა ბოლშევიკები აშკარათ სჩანს აფხაზეთის გარეშემო ატეხილ დავისაგან. აქ მოსახლეობის ოთხმოცი პროცენტი აფხაზები და ქართველები, თვით ბოლშევიკების მოწმობით. მათი ნაც. თავისუფლება მოითხოვს გაბატონებული ენა მათი სამშობლო ენა იყოს. მარა ასე არ მსჯელობენ ურა-ბოლშევიკები: მათი აზრით ეს იქნებოდა პირწყვარდნილი ნაციონალისტობა და კაციჭამიობა. ხოლო რუსული ენის შემოღება კი ნამდვილი ინტერნაციონალობა და კომუნისტობაა! «ლენინის ენა» ერთათ-ერთი რევოლიუციური ენა ყოფილა, როგორმედაც უნდა შესცვალოს ადგილობრივი ენები. ეს დაუჯერებელი ამბები მოთხრობილია «კომუნისტში» (№ 190) და არა თუ მოთხრობილი, არამედ გამოტანილი ერთადერთ კომუნისტურ მცნებათ. ეს ჩვენთვის არ არის მოულოდნელი; კომუნიზმი—ეს წმინდა რუსული მოვლენაა, ლენინიზმი—ველიკორუსული ჩმახვაა, ეს დიდი ხანია ვიცოდით, მარა ეს თუ რუსიფიკაციის ასე აშკარა ბაირაღათ გამოიფინებოდა—ეს კი არ გვეგონა. ალბათ მოსკუტარებს ახლა ქართველი ხალხი მიაჩნიათ საკმაოთ მოთელილათ რომ «ლენინის ენა» მას სამშობლოს ენათ შეეპარონ.

* * *

მადა ჭამაში მოდისო—ნათქვამია. თუ კი აფხაზეთში რუსული უნდა იყოს გამეფებული, სამეგრელოს რაღა დაეშავა, აქაც ხომ ქართული ენა «უცხო ენაა»! და ან ლენინის შეგირდები აცხობენ დეაბშეს მოსკოვში და თფილისში, გვიხსენით იმპერიალისტურ საქართველოდან, მოგვანიეზეთ აბხაზური დამოუკიდებლობა... აქედან ერთათ-ერთი დასკვნაა—რაკი ქართული საჭირო არ არის, ხოლო მეგრული ლიტერატურა არ არსებობს, გაუმარჯოს რუსულს, «მსოფლიო რევოლიუციის ენასს! მართალია მათ ებრძვის გაზ. «კომუნისტი» (№ 205), მარა რა საბუთით? თუ კი «ლენინის სასტიკი ხაზი» იტევს ყოველნარ სიმპპინჯეს, თუ კი მის ავტორიტეტს ეყრდნობა ყველა მტერი ხალხის (მუსოლინი) და ერის (რუსის ზოვინისტები), ყველი ჯალათი და ჩეკისტი, რატომ აფხაზ-სამეგრელოს ეოსტორგოველები მას ვერ დაეყრდნობიან? განა ბოლშევიკებმა არ დასჭრეს საქართველოს ცოცალი სხეული «დამოუკიდებელ» ნაწილებათ? ბოლშევიკ-ეშორდიელები აგრძელებენ მხოლოდ ამ პროცესს. მთელი ეს დამპალი ხელი ძირიანათ უნდა ამოვარდეს, თორემ მას ვერაფერი ზერელე მოქმედება ვერ უშველის

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

აი ასეთია ბოლშევიკების მიერ დამყარებული «ნაციონალური თავისუფლება», რასაც მოსკოვის «ნახლებნიკები»—გერმანელები მოგვითხრობენ. ესენი ვერ იტყვიან—მოგვატყუეს, ვინაიდან ჩვენი პარტიის ცეკამ მათ თვალი აუხილა, მემორანდუმი გადასცა. ეს დოკუმენტი კი მთან კომშენისტებისათვის გადაუციათ. სააგიტაციოთ რასაკვირველია. ესენიც ილანძღებიან. მათი აზრით, «ამ დოკუმენტში საშინელი სიცრუე და ცილისწამებაა». თითქოს ბოლშევიკებზე შეეძლოს ვინმეს «სიცრუის» შეთხზვა. ჯერ არავის გამოუგონია ისეთი სისაძაღლე, რაც მათ არ ჩადენოს, ვერავითარი ფანტაზია ვერ მისწვდება მათ «საგმირო საქმეებს». აბა დაასახელონ თუნდაც ერთი სიცრუე, მათ შესახებ დაწერილი ან გავრცელებული. ასეთს ვერ მონახავენ თვით დიოგენის ფარანითაც. მათ ალშფოთებს არა სიცრუე, არამედ სიმართლე, რომელიც დოკუმენტში წერებულა: «ქართველ ხალხს არ შეუძლია შეურიგდეს თავისი ქვეყნის თავისუფლების და დამოუკიდებლობის დაკარგვას»-ო («კომ.» № 196). მათ გონებიათ, რომ ქართველი ხალხი ყოველივე ამას შეურიგდა და აი უცემ ცხენრ. კომიტეტი მათ ცივ წყალს ასხამს თავზე. ჩვენს ზოგ ტუსაღთა «ალსარებათ» მთ ერის ალსარებათ მიეულიათ და ახლა ამ თავის ხელფეზ შებოჭილ მსხვერპლთ პასუხს თხოვენ, როგორ თუ ცენტრ. კომიტეტმა ეს გაბედაო! ქართველ ხალხს არასოდეს არ ქონებია და არც შეუძლია ქონდეს «საერთო ენა» თავის მტარვალებთან. და თუ რომელმე ტუსაღი დახვრეტის შიშით «საერთო ენაზე» ლაპარაკობს—ეს მისი პირადი საქმეა და ეს არავითარ შემთხვევაში არ ავალებს ხალხს და მის პარტიას. ერი ვერ იყიდება ოქროთი, სოც.-დემ. პარტია ვერ გაკრთება შუქარით. მათი გზა სწორი, ფართე და ნათელია. მას ვერ გააბრუნდებენ მოსყიდულნი და დამფრთხალნი.

* * *

გერმანელ დელეგაციის ტრაგი-კომედიის უკანასკნელი აქტი გათამაშდა გერმანიაში. ისინი აქ წარსდგენ «გამგზავნ კომიტეტის» წინაშე ანგარიშებით. კომიტეტმა დაადგინა: «დელეგაცია დაჯდა აუარებელი ფული. თუ ის ვერ მოვიხმარეთ სააგიტაციოთ ფართე მასშტაბით, პარტია მოავალი წლობით დახარალდება. დელეგატები უნდა იყვენ პარტიის დამკვრელი ნომრები, ვინაიდან დღეს ყოველივე საეგებოთ გვაქვს დადებულია... ანგარიშები ჯერ უნდა შეასწოროს პარტიულ კომიტეტმა და შემდეგ გამოვიდენ იმით დელეგატები კრებებზე» და სხ.

ეს საიდუმლო დადგენილება გამოამეჟღავნა სოც.-დემოკრატიულმა გაზეთმა და დელეგატებიც შედრკენ. მათი აგიტაცია სავსებით ჩაფლავდა; ერთმა «დელეგატმა» ბ. მელემ 19 სექტემბერს განცხადება შეიტანა «გამგზავნ კომიტეტში», რომ ის უარს ამბობს გამოსვლებზე, ვინაიდან ახლა დარწმუნდა რომ იარაღი ყოფილა კომუნისტური პარტიის.

მართალი უთქვამს პოეტს: «უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია!»

---

*

«ჩვენი ერთობა»-ზეა.

გაზეთი «ჩვენი ერთობა»-ში, რომელიც საქართველოში გამოვიდა 26 მაისისთვის, მოთავსებულია ფრაზა: «აგვისტო და მაისი». ავტორი ნიჭიერი კალმით აგვიწერს ცხრა თვის თავზე დათალხულ საქართველოს; იგონებს მოთმინებიდან გამოსულ ხალხის თავგაწბრილულ ბრძოლას. აუარაცხელ მსხვერპლს, ათასობით დაობლებულ ოჯახებს, და ასკვნის:

«ყველგან გლოვა, ყველგან ვიში.
ყველგან ფრთოლავ ყველგან შიში.»

აი რა დასთესეს კომუნისტების ჯალათება თავისუფლების მოყვარულ საქართველოში: მაგრამ უიმედობა არ იპყრობს მებრძოლთა გულს, გამარჯვების ცისკარი ეხატება ავტორს თვალწინ და ის ასე ათავებს თავის წერილს:

«26 მაისი ემბლემაა ქართველი ერის გაცემენტტების, ქართველი მშრომელისთვის სანატრელ პრინციპების ცხოვრებაში გატარების.

26 მაისი იყო ის მნანობელი ლამპარი, რომელიც აგვისტოში აჯანყებულ ქართველ ერს გზას უნათებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეის დღის წმინდა პრინციპს შეაკვდენ აგვისტოს აჯანყების თავდადებული გმირები.

ქართველი ერის სანუკვარ დამოუკიდებლობისთვის ეძგერენ თავდადებულნი ასე ერთსულოვნათ უამრავ მტერს.

ამიტომ მოწიწებით ვიდრეკთ მათი ხსოვნის წინაშე მუხლს და ვეუბნებით მათ:

საუკუნო იყოს თქვენი სახელი აგვისტოს აჯანყების გმირებო!

დიდება და პატივი თქვენ ხსენებას ერის გამარჯვების საკუთრთველზე მსხვერპლად მიტანილნო!

ყოველი ქართველი, ვის მკერდშიც ქართული სული სცემს, გულში ატარებს თქვენს სახელს. დაე ყველა დარწმენდეს იმ საქმის უკვდავებაში, რომელისთვისაც თქვენ სიცოცხლეს გამოუსალმეთ. ჩვენ ვიცით და ვგრძნობთ, რომ საქართველოში დღეს მოთარეშე ძალა წარმავალია.

იგი განწირულია ისტორიის მიერ. «წყალნი წავლენ და წამოვლენ ქვეშანი დარჩებინანო.»

საქართველო კვლავ აღსდგება.

მას მისი ნამდვილი პატრონი, ქართველი დემოკრატია, დაეუფლება.

ნაგუბარში კვლავ ჩადგება წყალი და მაშინ გამარჯვებული ერი პასუხს გასცემს მტარვალებს და უდანაშაულო სისხლის დამდგრეფლთ, მაშინ დადგება განკითხვის დღე და თქვენს მესაფლავეებს ქართველი ერი მესაფლავეთ მოევლინება.» («ჩვენი ერთობა» № 1. (13).

ინტერნაციონალი და ეროვნული საკითხი.

მარსელის სოციალისტურმა კონგრესმა განსაკუთრებული ყურადღება დამონებულ ერთა საქმეს მიაპყრო.

ომისა და რევოლიუციის ქარტეხილში დაინგრა რომანოვთა, ჰაბსბურგთა და ჰოჰენცოლერნთა ტახტი. ამ გზით მრავალი დამორჩილებული ერი განთავისუფლდა. სოციალიზმი ერთთ თვითგამორკვევის მომხრეა. ეს უდაო დებულებაა. მაგრამ იკავს თუ არა ინტერნაციონალი ამ განთავისუფლებულ ერთთა არსებობას? კითხვა სრულიად ბუნებრივია, თუ სახეში მივიღებთ ახლო წარსულს, როცა განთავისუფლებულ ერთთ ბედზე არავინ ზრუნავდა. მოვიგონოთ თუნდაც 1920 წ., როცა ტროცკის მეთაურობით საბჭოთა რუსეთის ლაშქარი ქ. ვარშავას უახლოვდებოდა, რომ გაეხსნისა თავისუფალი პოლონეთი. ამ დროს დასავლეთ ევროპების არა ერთი და ორი სინდიკატი და სოციალისტური პარტია ხელს უშლიდა საფრანგეთიდან პოლონეთში იარაღის გაზიდვას და მით ფაქტიურათ მოსკოვის იმპერიალიზმს ეხმარებოდა.

მარსელის კონგრესის პასუხი ყველასათვის ნათელია. ის აცხადებს: «ინტერნაციონალი იცავს გადაჭრით (ყოველი რეზერვის გარეშე) ახალ სახელმწიფოთა თავისუფალ და დამოუკიდებელ არსებობის უფლებას» ").

ამით აშკარათ დაგმობილია კომუნისტურ ინტერნაციონალის პოლიტიკა, რომელიც უარყოფს პატარა ერთა არსებობას და მსოფლიო რევოლიუციის ნიღაბს ქვეშ მეზობელ ერთა ჩაყლაპვას ელტვის.

ამხანთან მთელი აზია და ჩრდილოეთი აფრიკა ბობოქრობს. ჩინეთი, ინდოეთი და მუსულმანური ქვეყნები ფეხზე წამოდგენ და უცხოელთა მონობისაგან განთავისუფლებას ლამობენ. და აი ინტერნაციონალიც მათ ესალმება, სოლიდარობას უცხადებს და თავის დახმარებას აღუთქვამს.

ყველასათვის ცხადია, რომ საბჭოთა რუსეთი და მისი საგარეო აგენტურა—მეესამე ინტერნაციონალი ცდილობს აზია-აფრიკის ხალხთა გამოღვიძება თავისი დიპლომატიური მიზნებისთვის გამოიყენოს. კომუნისტური ინტერნაციონალი სამოქალაქო და საგარეო ომით სულდგმულობს. ის მუდამ ცეცხლს ეთამაშება, რომ ერთხელ კიდევ მთელი კაცობრიობა ომის ალში გახვიოს. მოსკოვის პოლიტიკა უაღრესად იმპერიალისტურია.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

პირიქით, სოციალისტური ინტერნაციონალი ევროპა-ამერიკის ფართო დემოკრატიის სურვილებს ეყრდნობა, რომელიც გადაჭრით უარყოფს აგრესიულსა და იმპერიალისტურ ომს და საყოველთაო მშვიდობიანობის დამყარებისაკენ მიიღტვის რუსული კომუნიზმი ომია, ხოლო სოციალიზმი მუდმივი ზავია.

ამქამად მშვიდობიანობის დროშას ეკიდღება არა მხოლოდ მუშათა კლასი, არამედ გლეხკაცობისა და საერთოთ წვრილი ბურჟუაზიის დიდი უმრავლესობა. ამ მოძრაობას სათავეში უდგია სოციალისტური ინტერნაციონალი. უმთავრესი მისი პრაქტიკული მოღვაწეობა ამ საქმის გარშემო ტრიალებს. ეს 7 მილიონ შეკავშირებულ მუშათა ყოველდღიური ზრუნვის საქმეა.

მერე რა გზით ცდილობს ინტერნაციონალი ამ მიზნის განხორციელებას?

ამხანაგ საკმაო როდი საბჭოაცოა ლოზუნგებით გამოსვლა. ეს შესაძლებელი იყო წინეთ. როცა სოციალისტური პარტიები ცალცალკე ქეყანებში უპასუხისმგებლო ოპოზიციას წარმოადგენდნენ. ხოლო შეუძლებელია დღეს, როცა სოციალიზმი დემოკრატიული გზით სახელმწიფო ძალა-უფლებას თანდათან ეპატრონება. აქ საჭიროა პრაქტიკულ ღონისძიებათა წამოყენება, საკითხის რეალურ ნიადაგზე დასმა.

სწორეთ ამ მხრივ არის საინტერესო მარსელის კოხტრესის რეზოლიუცია, «ინტერნაციონალი ანგარიშს უწევს იმ გარემოებას—აცხადებს ის—რომ ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ევროპა-ამერიკის დემოკრატია თვითვე აღიარებს ყველა ერთა თვითგამორკვევის უფლებას და მის განხორციელებას თავს მოსხვევს ევროპა-ამერიკის იმპერიალისტებესო.»)

ქვემოთ იმავე დებულებას ერთხელ კიდევ ადასტურებენ. «ინტერნაციონალი აღიარებს, რომ მტკიცე მშვიდობიანობა მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, როცა საერთაშორისო უფლება განვითარდება ხალხთა ლიგის მე-19 მუხლის პრინციპის თანახმად, რომ სახელმწიფოთა წყობილებისა და ეროვნულ საზღვრების გადასინჯვა შესაძლებელი იქნეს ერთა თვითგამორკვევის უფლების თანახმად, მშვიდობიანი საშუალებით არბიტრაჟისა და პლებისციტის გზით, რომ დამორჩილებული ერები თავის განთავისუფლებას ახალ ომებისაგან არ მოელოდნენ.»**)

თუ გსურს ზავი, ემზადე ომისთვის—ამბობდენ ძველი რომაელები და მას დღემდის იმეორებს იმპერიალისტური ბანაკი.

თუ გსურს ზავი, ათავისუფლე ყველა დამორჩილებული ერები—აცხადებს ინტერნაციონალი. ამით ერთა განთავისუფლების საქმე პრაქტიკულად გადაჯაჭვულია მუშათა მსოფლიო მოძრაობასთან. დაჩაგრულმა ერებმა უძლიერესი მოკავშირე იშოვნეს.

ასეთია ინტერნაციონალის საერთო ხაზი. მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საკითხი, თუ როგორ უყურებს საერთაშორისო სოციალიზმი საბჭოთა კავშირში ცეცხლოთთა და მახვილით შეიარაღ ერებს.

საქართველოს სუვერენობის აღდგენის შემდეგ არა ერთი და ორი რუსი სოციალისტი მტრულათ ან და ალმაცერათ შეხვდა ჩვენი პარტიის ხაზს ამ მნიშვნელოვან საქმეში, თუმცა სიმართლე მოითხოვს ადვნიშნოთ, რომ რუსეთის სოციალისტურ პარტიებში ჩვენ თავიდანვე დამაკეცელებიც ვპოვეთ. ზეჩრათ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიას დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო ნაციონალისტურთამაც ნათლავდენ. მაგრამ ქართველი დემოკრატია თავგამოდებით იცავდა სოციალიზმის უდაო პრინციპს—ერთა თვითგამორკვევის უფლებას. ამიტომაც იყო საქართველოს დამოუკიდებლობის იდეამ მალე სრული მოქალაქეობა მოიპოვა და ის საყოველთაო მოთხოვნილება შეიქნა. ამიერიდან ჩვენს წინააღმდეგ ახალი ბრალდებით გამოდიოდენ. ქართველ სოციალ-დემოკრატებს უკიკინებდენ, რომ ისინი მხარს უჭერენ აზერბეიჯანის, მთის, უკრაინის და სხვა ერთა თვისუფლებას და ამ გზით ხელს უწყობენ რუსეთის დაკუღმაცებას. ასეთ საყვედურს მუდამ დღე გაიგონებდით.

და აი ყველა ამ «ბრალდებას» მარსელის კონგრესმა წესი საბოლოოთ აუგო. ინტერნაციონალმა აღიარა, რომ ის იცავს სრულ თვითგამორკვევის უფლებას «საბჭოთა კავშირის ერთათვის, რომელთაც რევოლიუციის ხანაში მოიპოვეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა (Staatliche selbststaendigkeit), როგორც სომხეთმა. საქართველომ,

---

*) იხ. რეზოლიუცია აღმოსავლეთის საქმეებზე.

) იხ. იგივე რეზოლიუცია. *) იქვე, ხაზგასმული ჩვენია. ნ. რ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

უკრაინამ და სხვ.» *) დასახელებულ სახელმწიფოთა გარდა აქ სხვათა შორის იგულისხმება აზერბეიჯანი, კავკასიის მთა და ბელორუსია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადმოსავლეთის კომისიაში უკრაინის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ზემოთ მოყვანილ დებულებას, რომელიც მიღებულ იქნა, ხმა მისცეს რუსეთის სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკები) და რუსეთის სოციალისტ-რევოლიუციონერებმა. ამით ინტერნაციონალმა საერთოთ და კერძოთ რუსეთის სოციალისტებმა საქეყენოთ განაცხადეს, რომ მეფის იმპერია ანუ ეხლანდელი საბჭოთა კავშირი არა ეროვნული, არამედ ეროვნებათა სახელმწიფოა და რომ ერთა თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას ისიც ვერასად ვერ გაექცევა. თუ ეს დემოკრატიული პრინციპი, რასაც თავგამოდებით იცავს სოციალისტური ინტერნაციონალი, ანგარევს ცეცხლსა და მახვილზე დაფუძნებული იმპერიალისტური სახელმწიფოს. ამაში ბრალი არ მიუძღვის არც ინტერნაციონალს და არც მის რომელიმე სექციას. ჩვენი პოზიცია სოციალისტურმა კონგრესმა თავისი ავტორიტეტით დაადასტურა. საქართველოს სოციალ-დემოკრატია ამ გამარჯვებას სიამოვნებით მიეგებება.

ინტერნაციონალმა მარსელში კიდეგ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა, რასაც პატარა ერთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

კონგრესი ერთხელ კიდეგ დასტურებს, რომ საერთაშორისო სოციალიზმი ცნობს მხოლოდ თავდაცვით ომს, ხოლო გადაჭრით უარყოფს რომელიმე სახელმწიფოს მიერ მეზობელზე თავდასხმას. «ყველა სახელმწიფო—აცხადებს კონგრესი—რომელიც ომს მიმართავს, უარყოფს რა რაიმე მოსაზრებით არბიტრს გადასცეს სადაო საკითხი ან არ ემორჩილება არბიტრის დადგენილებას, უნდა ითვლებოდეს თავდამსხმელად და თავის ერის და კაცობრიობის მტრად». **)

აქ მკითხველს ბუნებრივად მიაგონდება საბჭოთა რუსეთის ყაჩაღური თავდასხმა საქართველოზე. ინტერნაციონალი ერთსა და იმავე დროს ორ საქმეს ემსაჯურება—მუდმივ მშვიდობიანობის დამყარებას და იმავე დროს პატარა ერთა თვისუფალ განვითარების უზრუნველყოფას.

კონგრესი მშუხარებით აღნიშნავს, რომ «ხალხთა ლიგის დებულებამ არ შეზღუდა ეროვნული სუვერენიტეტი, რასაც თანამედროვე ერთა სოლიდარობა მოითხოვს, რომ მან არ წაართვა თავვრობებს ომის გამოცხადების უფლება». ***)

ამ გზით ისმება სრულიად ახალი საკითხი, წამოყენებულია ახალი პრინციპი. ერი სუვერენი უნდა იყოს შინაურ საქმეებში, ხოლო მისი სუვერენიტეტი უნდა შეიზღუდოს საგარეო პოლიტიკაში. განახორციელეთ ეს და მართლაც ხალხთა ლიგა თავისუფალ ერთა მსოფლიო კავშირათ გადაიქცევა. ეს ზედგამეჭრილია პატარა ერების ინტერესებისთვის, ხოლო ეწინააღმდეგება იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მიდრეკილებებს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დასავლეთ ევროპის ზოგი დიდი სახელმწიფო ებრძვის ხალხთა ლიგის უფლებათა გაფართოებას, ხოლო მთავარი იმპერიალისტური ქვეყანა—საბჭოთა რუსეთი ხალხთა ლიგას გადაჭრით უარყოფს და მუდამდღე სამხედრო შეტაკებებს ამზადებს, რომ ახალი ერები დაიმონოს და გაძარცოს. სხვათა შორის მოსკოვის მთავრობა ლიგას გაერბის, ვინაიდან იქ შესვლისთანავე მას საქართველოს საკითხი წინ დაუდგება და სავალდებულო არბიტრაჟს ვერ გაექცევა.

როგორც ხედავთ, მარსელის ინტერნაციონალურმა კონგრესმა პატარა ერების უფლებათა ხარტია გამოიმუშავა, ის პრაქტიკულ ჩარჩოებში ჩამოასხა და მისი განხორციელება საადგილო საქმეთ გამოაცხადა.

ან მუდმივი მშვიდობიანობა და დამორჩილებულ ერთა განთავისუფლება ან ომი და მით ევროპიული კულტურის განადგურება—ასეთია ალტერნატივა, რომელიც კაცობრიობის წინაშე დასდგა.

მწვავე ბრძოლა გაჩაღდა. ეჭვს გარეშეა ის დამთავრდება მშვიდობიანობის უზრუნველყოფით და პატარა ერთა თვისუფლების განმტკიცებით.

ნ. რამიშვილი.

---

*) იქვე. ქვეყნების სახელწოდება ლათინურ ალფაბეტის წესით არის მოყვანილი.
) იხ. რეზოლიუცია «პროლეტარიატი და ხალხთა ლიგა». *) იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთის კომისია მარსელის კონგრესზე.

ამ კომისიას აქვს თავის ისტორია. ყველს თავის წინამორბედი. ესაა აღმოსავლეთ ევროპის სოც. პარტიათა კონფერენცია, რომელიც კონგრესის წინ და მის პირველ დღეებში იკრიბებოდა მარსელში.

ამ კონფერენციას მიზნად ქონდა წინასწარ გაერკვია კონგრესზე დასმული აღმოს. საკითხი. რამდენთაც შეიძლებოდა ერთსულოვნობას მიეღწია და ამით თვით კონგრესის გადაწყვეტილებისთვის გზა გაეწყლდა. ზოგიერთი პარტიები მოითხოვდენ კონფერენციისთვის მხოლოდ სათათბირო, ანრთა გაცვლა-გამოცვლის როლის მინიჭებას. ამ დავამ საკმაო დრო წაიღო და გადაუწყვეტელი დარჩა. კონფერენციას თავის მუშაობა არ დაუშთავრებია, რადგან კონგრესის აღმოსავლეთის კომისიის დაარსების შემდეგ ყველა დელეგატები მთელ დროს და ენერგიას მას ანდომებდენ. მარა ანრთა გაცვლა-გამოცვლის დროს გამოირკვა მრავალი მტკივანი ადგილი აღმოსავლეთის ქვეყანების. დიდი ბორრატება დათესილა იქ საზღვრების გაყვანის დროს. თითქმის ყველა ერის სოც. პარტია უჩიოდა მეზობელს. განსაკუთრებით ილაშქრებდენ პოლონეთის წინააღმდეგ. გულახდილი ლაპარაკი მწარე სინამდვილეს დაუფარავად აუჩარავებდა. ვილნის საკითხი, ლომბოროფების საზღვრების, უკრაინის, დანციგის კარიდორის, ბესარაბიის, მაკედონიის, ბოლგარიის—ყველა წამოდგა თვალწინ: კაცი იფიქრებდა, სოლიდარობის საქმე ამათ შორის საშუალმათ დაღუპულიაო. მარა ნამდვილათ ეს იყო მხოლოდ მეტი დავა. ეს იყო ტაციელების აღნუსხვა და მალამის ძიება. კონფერენციამ, როგორც ვიცით, ვერ დაასრულა თავის მუშაობა, ჰარა ერთი მაინც გამოირკვა, ის, რომ პატარა ერებს საერთო ინტერესებიც ბევრი აქვთ, საერთო ხაზის შემუშავება შეუძლიათ. ყველას უქადის საფრთხე საბჭოთა რუსეთისა და ევროპის კაპიტალისტთა ეგოისტურ პოლიტიკისგან. მათი ძალა და გავლენა თვით ინტერნაციონალის შიგნიც მათ გაერთიანებაშია. ამიტომ, თუ კონფერენციის დასაჭყისში ბევრი პატარა სოციალისტური პარტია რომელიმე დიდი პარტიის ანრის ადევნებას და გამეორებას ცდილობდა, კონფერენციის დასასრულს და განსაკუთრებით აღმოსავლეთის კომისიაში უკვე სრულიად დამოუკიდებლათ გამოდიოდა და პატარა ერთა მორალურ ძალასა და გაერთიანებაში ხედავდა თავის საკითხის სამართლიანათ გადაწყვეტის საუკეთესო გზას და საშუალებას.

ამ ატმოსფერით გაიხსნა მუშაობა აღმოსავლეთის კომისიის. მისი თავმჯდომარე იყო ფრიდრიხ ადლერი. მომხსენებელი ოტო ბაუერი.

მომხსენებელმა თავიდანვე გაფაფრთოვა კომისიის გასარჩევი საგანი და დაუკავშირა ის თანამედროვეს კოლონიალურ პოლიტიკის საკითხებს. უმთავრესათ შორეულ აღმოსავლეთის საკითხს. მისი ანრით თავაკრ წყაროს ომის საშიშროებისა აღმოსავლეთ ევროპაში წარმოადგენს ანტაგონიზმი დასავლეთ იმპერიალიზმისა, განსაკუთრებით ბრიტანეთის იმპერიისა, და საბჭოთა კავშირს შორის.

ამ ორ ძალაში, ბაუერის ანრით, მთავარ და რეალურ საშიშროებას ზავისათვის აღმოსავლეთში წარმოადგენს დასავლეთის იმპერიალიზმი, რომელიც რევოლიუციურ აღმოსავლეთის და მისი დამხმარე ბოლშევიზმის წინააღმდეგ, ეყრდნობა რეაქციონერ ძალებს აღმოსავლეთ ევროპაში, აქ ახლად გაბატონებულ ნაციონალისტურ ბურჟუაზიას, და მსოფლიო რეაქციის მიზნებისთვის იყენებს ლიმიტროფებს. ამიტომ ინტერნაციონალის უპირველესი მოვალეობაა ყოველი ძალღონით ებრძოლოს საბჭოთა რუსეთზე განზრახულ თავდასხმის განხორციელებას. რაც შეეხება საბჭოთა რუსეთის ავანტიურისტულ მსოფლიო პოლიტიკას, ამის დაძლევა შეიძლება რუსეთის შინაურ რეჟიმის დემოკრატიზაციით. საბჭოთა კავშირში მებრძოლ სოციალისტურ პარტიებისვის მხარის დაჭერით. ხოლო აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში—ლიმიტროფებში და ბალკანეთში—ინტერნაციონალი უნდა ზრუნავდეს ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დაცვას, საზღვრების სამართლიანად გადამიჯვნას, ერთა თვითგამორკვევის პრინციპის სწორ და სავსებით გატარებას და სხვ.

რუსეთის ს.-დ. მ. პ. ლიდერმა, დ ა ნ ე მ ა, თითქმის სასვებით გაიზიარა ბაუერის დებულებები. მას სურს მხოლოდ რეზოლიუციამ უფრო აშკარად და ხაზგასმით აღიაროს ზოგიერთი მომენტები, როგორც მაგ. ევროპის აღმოსავლეთ სახელმწიფოებში

26934

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამეფებულ ნაციონალისტურ ბურჟუაზიის რეაქციონური როლი, რაც ომის საშიშროებას აძლიერებს. ის ითხოვს აგრეთვე, რომ რეზოლიუციამ განსაკუთრებული ენერგიით აღნიშნოს საჭიროება საბჭოთა კავშირში მებრძოლ სოც. პატრიოტისთვის რეალურ დახმარების ინტერნაციონალის მხრით. დანი აცხადებს აგრეთვე, რომ რ. ს.-დ. მ. პარტიისთვის სრულიად მიუღებელია ბოლშევიზმის წინააღმდეგ ძალადობის საშუალებით, აკაანეგის გზით ბრძოლა, თუმცა ის არ მოითხოვს ამის რეზოლიციაში შეტანას, რადგან, მისი აზრით, სოც. ინტერნაც. ჯერ საკმარისად გარკვეული არ არის რუსეთის შინაური მდგომარეობაში.

ვ. ჩერნოვი (ესერი) აზრით აღმოსავლეთ ევროპაში ომის მთავარი საშიშროება მოსალოდნელია ბოლშევიზმისაგან, რომელიც რეაქციონურ ძალათ გადაიქცა და მორიგეთ აღმოსავლეთშიც მხოლოდ ავანტიურისტულ პოლიტიკას აწარმოებს, განზრახ წყალს ამღვრევს თავისი ბატონობის შესანარჩუნებლათ. ესერების ლიდერი ფიქრობს, რომ ინტერვენციის საშიშროების ხანა განვლილია და საბჭოთა რუსეთს არავითარი საფრთხე აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან არ მოელის.

კომისიის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია შემდეგ პოლონელი ნ ე ძ ი ა ლ კ ო ვ ს კ ი ს (პ. პ. ს.) და იუგოსლავიელ მარქსისტის ტ ო პ ა ლ ო ვ ი ჩ ის გამოსვლებმა.

ნედიალკოვსკი ამტკიცებს, რომ პოლონეთი დღეს არავითარ საშიშროებას ზავისთვის არ წარმოადგენს, რადგან ხალხი იმდენად დაქანცულია ომებისაგან, იმდენად წინააღმდეგია ყოველგვარი ავანტიურის, რომ მას ვერავითარი მთავრობა ვერ ჩაითრევს ომში. პ. პ. ს. ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს პოლონეთის დღეკანდელ ნაციონალისტურ მთავრობის წინააღმდეგ და იბრძვის ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვისათვის. ნედიალკოვსკი აცხადებს, რომ მისი პარტია იღებს თავის თავზე ვალდებულებას არ დაზოგოს ცდა, რათა ერთა თვითგამორკვევის პრინციპის ნიადაგზე მოელაპარაკოს და შეუთანხმდეს, როგორც პოლონეთის ეროვნულ უმცირესობათ, აგრეთვე გერმანიის და რუსეთის სოციალისტებს სხვადასხვა სადაო საკითხების შესახებ (დანციგის კარიდორი, ზავის ხელშეკრულების მიერ გამიჯნული საზღვრების გადასინჯვა და სხვ.).

ტ ო პ ა ლ ო ვ ი ჩ (იუგოსლავია). რომელსაც სიტყვა მრავალჯერ შეაწყვეტინეს აპლოდისმენტებით, მშვენიერად ახასიათებს ბოლშევიზმის ნამდვილ ბუნებას და მის როლს საერთაშორისო პოლიტიკაში. ის სავსებით იზიარებს კაუცკის პოზიციას, რომ ბოლშევიზმი უკვე გადაიქცა რეაქციონურ ძალათ, რომელიც ჰბოჭავს რუსეთის ხალხის ცოცხალ ძალებს. იქ მოხდა. ბურჟუაზიული რევოლიუცია. გლეხებმა მიწა იგდეს ხელში და ახლა მის დამეშავებას შეუდგენ. გლეხურ მეურნეობის ზრდა აუცილებელი იყო. ზოგიერთები ამაში ხედავენ ბოლშევიზმის დამსახურებას. მარა ეს ასე არაა. ზრდა ხდება ბოლშევიზმის გამანადგურებელ საქმიანობის და პოლიტიკის მიუხედავად და მოწმობს მხოლოდ რუსეთის გლეხობის შინაგან სიძლიერეს, განვითარების უნარს. ორატორი სტატისტიკური ცნობებით ამტკიცებს, რომ სხვა ქვეყნებში, როგორც საფრანგეთში, იუგოსლავიაში და სხვაგან გლეხის მეურნეობამ რუსეთთან შედარებით, 10—20-ჯერ წინ წაიწია ომის დასრულების შემდეგ. ასეთსავე შედეგებს მიაღწევდა რუსის გლეხობაც, რომ ბოლშევიკური რეჟიმი წინ არ ეღობებოდეს. ეს რეჟიმი ძალადობის და ტერორის—დღეს ერის ბორკილებია. მისი ძალით გადმოგდება არავითარ რეაქციის საშიშროებას არ შეიცავს. საღი რუსის გლეხობა და მუშათა კლასი მის ნანგრევებზე დემოკრატიულ წყობილებას დაამკვიდრებს.

14 ორატორი იყო კიდევ ჩაწერილი, როცა გადაწყდა სარედაქციო კომისიის არჩევა რეზოლიუციის დასამუშავებლათ. არჩეულ იქნენ ბაუერი (მომხსენ.), დანი, ნედიალკოვსკი, სუხომლინი და ირ. წერეთელი, რომლის კომისიაში შეეკვანა მოითხოვეს ლიმიტროფების პარტიებმა.

შემდეგ სხდომაზე ამ კომისიამ შემოიტანა კომპრომისული რეზოლიუცია, რომელიც თვით კომისიისაც არ აკმაყოფილებდა. გიიმპრთა ხელახალი კამათი რომელშიც მონაწილეობა მიიღო ინგლისის (მარგარიტ ბონფიდი) და გერმანიის (ველსი) წარმომადგენლებმა და სხვ.

პირველმა მთელი რიგი შესწორებები შემოიტანა, რომელიც მოითხოვდა ზოგიერთ პუნქტებში საბჭოთა რუსეთის ნაცვლათ—კომინტერნის მოხსენებას, რუსეთის სა ერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესების აღნიშვნას -ინტერნაციონალის ჩარევის გამო და ამ მიზეზით რუსეთის ხალხისთვის მიმართვას, რომ უკანასკნელმა იბრძოლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელ რეჟიმის წინააღმდეგ და თავისუფლების დასამყარებლათ. მეორემ აღნიშნა სრული ერთ და იგივეობა კომბინტერნის და საბჭოთა მთავრობის, ამ საბუთით მიემხრო ინგლისის შესწორებებს..

ლ ო ნ გ ე ომის მთავარ მიზეზათ აღმოსავლეთში თვლის ბოლშევიზმს, რომელსაც ომი შინ და გარეთ მიღებული აქვს, როგორც მთავარი საშუალება მსოფლიო რევოლიუციის. ბოლოს რენოდელის, ლეონ ბლიუმის და პოლ-ფორის სახელით შემოაქვს შესწორებები, რომელშაც ეს ახრი უნდა გამოხატოს რეზოლიუციაში.

ხელახლა შეავსეს მცირე კომისია ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის წარმომადგენლებით და დაავალეს საბოლოოთ შემუშავება რეზოლიუციის. კომისიაში თითქმის ყველა შესწორებების შესახებ მიღწეულ იქნა თანხმობა, მხოლოდ ე. წ. «ფრანგული შესწორება» ვერ გავიდა, 4 ხმით—4 წინააღმდეგ ის უარყოფილ იქნა.

კომისიის საერთო სხდომაზე ამავე შესწორებამ გამოიწვია ვრცელი დებატები. ილაპარაკა ლონგემ (საფრანგეთი) რომელმაც განმარტა თავის ზემოთ მოყვანილი ახრი, ირ. წ ო ბ ე ლ ა—რომელმაც გაუსვა ხაზი ბოლშევიზმის საშიშროებას, მის მეომარ ბუნებას და აღნიშნა, რომ ევროპაში ომის საშიშროებას ებრძვის და ანელებს მეშათა კლასის ძლიერი წინააღმდეგობა. საბუთთა რუსეთი კი არსაიდან ასეთ წინააღმდეგობას არ ხვდება, რადგან იქ დიქტატურით ჩაკლულია დემოკრატიის ხმა. თუ მას ის საბუთი მივეცით ხელში, თითქოს მის წინააღმდეგ საომრათ ემზადებიან და თავდასხმას უპირებენ იმპერიალისტური ქვეყნები, ამით მხოლოდ გამაროლებულ იქნება რუსეთის ხალხის თვალში მათი სამხედრო სამზადისი და ომის საფრთხის გაძლიერებას უნებლიეთ ხელს შეეწყობთ. რეზოლიუციის პირველი მუხლი სწორეთ ასეთ საშიშროებას შეიცავს, ამიტომ იგი უნდა შეიცვალოს. სწორი შეფასება საბჭოთა რუსეთის საფრთხის, მისგან მოსალოდნელ ომის ალის გაჩაღების, გაფრთხილება იქნება პროლეტარიატის და ეს საუკეთესო თავდება მშვიდობიანობის. ევროპის პროლეტარიატმა არ უნდა დაიგიწყოს, რომ კაპიტალისტურ იმპერიალიზმის ბევრი არსებობს ეს წითელი საბჭოთა იმპერიალისტური საფრთხე და მას შეგნებულათ შეებრძოლოს. ირ. წერეთელმა აღნიშნა აგრეთვე საშიშროება რუსეთისგან ლიმიტოროფებზე თავდასხმის ინ საბანით. რომ ანტანტამ არ გამოიყენოს ისინი ჩემს წინააღმდეგო. აი ამ საბუთის წართმევა ბოლშევიკებისთვის აუცილებელია ომიანობის შიმის შესასუსტებლათ და ეს უნდა სთქვას გადაჭრით საერთაშორისო მეშათა კონგრესმა.

რამდენიმე ორატორის შემდეგ კენჭის ყრით კომისიამ შესწორება უარყო 148 ხმით 122 წინააღმდეგ. წინააღმეგნი იყვენ თითქმის ყველა აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტები, ფრანგები, ბელგიელები და სკანდინავიის პარტიები. მათ შორის იყო ბევრი ისეთებიც, რომელნიც წინეთ ვენის ინტერნაციონალში შედიოდენ.

პლენალურ სხდომაზე რეზოლიუციია ვრცელ და მჭერმეტყველურ სიტყვაში დაიცვა ბაუერმა, რომელმაც მოუწოდა ოპოზიციას ერთსულოვნება არ დაერღვიათ და რეზოლიუციისთვის ხმა მიეცათ.

რეზოლიუცია მართლაც ერთხმათ იქნა მიღებული. მაგრამ ოპოზიციის ნიადაგზე მდგომმა პარტიებმა საჭიროთ სცნეს კენჭის ყრის წინ გაეკეთებინათ საკანგებო განცხადება, რაც დებრიუკერს მიანდვეს. მოგვაცეს ის აქ სავსებით:

დ ე ბ რ ი უ კ ე რ ი (ბელგია). ამხანაგებო. მე მინდა მივმართო ამხანაგ ტურატის მაგალითს, რომელმაც დასავლეთ ევროპის რეზოლიუციის კენჭის ყრის წინ რამოდენიმე პარტიის სახელით გააკეთა რეზერვი იმ რეზოლიუციის შესახებ.

მე გამოვდივარ საფრანგეთის, პოლონეთის, საქართველოს, ფინლიანდიის, უნგრეთის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, სომხეთის, ლატვიის და ბელგიის სახელით. შვეიცის პარტიაც ემხრობა ჩვენს პოზიციას და მისი წარმომადგენელი გამოვა, ალბათ, სათანადო განცხადებით.

ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ აღმოსავლეთ ევროპის შესახებ წარმოდგენილ რეზოლიუციაში ბევრი რამ არ მოგვწონს. როგორც მოგახსენეთ ამმ. ბაუერმა, ჩვენ სამი დღის განმავლობაში ვიბრძოლეთ რეზოლიუციაში ჩვენი შეხედულების გასატარებლათ. ბევრ რამეში მიეიღეთ დაკმაყოფილება, მაგრამ ბევრი რამ კიდევ რჩება რეზოლიუციაში, რის გამოთქმა ჩვენ სხვაგვარად ვამჯობინებდით.

ამმ. ბაუერის ახრით დასავლეთ ევროპის პარტიებს არ შეუძლიათ ჰქონდეთ ისეთი სწორი წარმოდგენა აღმოსავლეთ ევროპის და რუსეთის საქმეების შესახებ, რომგორც რუსეთთან ახლო მდებარე ავსტრიის პარტიას. მე მგონია, რომ ბევრი იმ ქვეყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათაგანი, რომელთა სახელით მე აქ ველაპარაკობ, როგორც მაგ. ფინლანდია, ლატვია, იუგოსლავია, საქართველო, სომხეთი, უფრო ახლო არიან რუსეთთან და არა ნაკლები სამოდალება აქვთ გაცნობილი იყვენ მის მდგომარეობას, მით უმეტეს, რომ ამ ქვეყნებს ატყდება თავს უპირველესად საბჭოთა რუსეთის იმპერიალიზმის მუქარა. და ჩვენ გვგონია, რომ ეს მუქარა, ეს საშიშროება ომის, რომელსაც უქადის საბჭოთა რუსეთი აღმოსავლეთ ევროპას, არ არის საკმარისი სისწორით დაფასებული რეზოლიუციაში. ეს არის მთავარი რეზერვი, რომლის გაკეთება ჩვენ გვსურდა. სწორ დაფასებას ომის საშიშროებისას აღმოსავლეთ ევროპისთვის იძლევდა ე. წ. ფრანგული შესწორება, რომელსაც ჩვენ ვიცავდით და რომელიც მცირე უმოცილსობით უარყოფილ იქნა კომისიის მიერ.

ამას გარდა, რეზოლიუციია ეხება კოლონიალურ საკითხებს და რამდენიმეთ სწყვეტს კიდეც მათ წინასწარ, მაშინ როდესაც ჩვენ აქ მოვისმინეთ ამბ. პიერარის მოხსენება კოლონიალურ საკითხზე და კონგრესმა საპიროდ სცნო არსებითი დადგენილებანი მის შესახებ მომავლისათვის გადაედო. ასე რომ წარმოდგენილი რეზოლიუცია ეწინააღმდეგება ერთგვარად კონგრესის დადგენილებას კოლ. საკითხის შესახებ.

მე უნდა აღვნიშნო აგრეთვე ის გარემოება, რომ რეზოლიუციია მოითხოვს საბჭოთა რუსეთის ერთა ლიგაში შესვლას, რასაც ჩვენ, რა თქმა უნდა, მხარს ვუჭერთ. მაგრამ თადეს ეს საკითხი მოხსენებულია რეზოლიუციაში, საპირო იყო აღგვენიშნა აგრეთვე, რომ სოვეტებმა ლიგაში შესვლისას უნდა იკისრონ და განახორციელონ ის საერთაშორისო ვალდებულებანი, რომელნიც ერთა ლიგის პაკტიდან გამომდინარობენ.

ასეთია ჩვენი რეზერვები. მაგრამ ჩვენ ანგარიშს ვუწევეთ რეზოლიუციის დადებით მხარეებსაც: ის გადაჭრით აღიარებს ერთა თვითგამორკვევის უფლებას და მოითხოვს ყველა დაჩაგრულ ერების ვინც კ არ უნდა იყოს მათი მჩაგვრელი—თავისუფლების აღდგენას. რეზოლიუციია სამართლიანად აღნიშნავს რუსეთში გამეფებულ ძალმომრეობის რეჟიმის უარყოფით როლს საერთაშორისო ურთიერთობისათვის და მოუწოდებს რუსის ხალხს შეებრძოლოს მის დღევანდელ მთავრობის ანტი-დემოკრატიულ და ანექსიონისტურ პოლიტიკას. ის აღუთქვამს დახმარებას საბჭოთა კავშირის სოციალისტურ პარტიებს მათ ბრძოლაში ტირანიის წინააღმდეგ.

ამხანაგებო, არის საკითხები, რომელიც ინტერნაციონალის სინიდისს ეხება და მათზე დამშვიდებით ლაპარაკი შეუძლებელია. როცა მე აქ, ამ დარბაზში, ვხედავ ქართველ ამხანაგებს, გადმოხვეწილებს, დევნილებს, მე მიპყრობს გრძნობა არა სიბრალულისა—ეს მათთვის შეურაცყოფა იქნებოდა—არამედ მწვავე სირცხვილის იმის გამო, რომ ჩვენი ინტერნაციონალი ჯერ კიდევ იმდენთ სუსტია, რომ საქართველოს მიმართ ჩადენილი ბოროტების ძლევა არ შეგვიძლია (საერთო აპლოდისმენტები) და რომ ქართველი ხალხის ნამდვილი წარმომადგენელნი თავის ქვეყანას და თავის ხალხს მოწყვეტილი არიან საბჭოთა ძალმომრეობის წყალობით.

ასევე სირცხვილის გრძნობას იწვევს მდგომარეობა რუს სოციალისტურ პარტიების, რომელთაც თავიანთ საშუბლოლს კარს უხშობს იქ გამეფებული ძალმომრეობის ხელისუფლება. (აპლოდისმენტები).

ამხანაგებო, ყველა ეს მოსაზრებები მოითხოვდა, რომ ინტერნაციონალს თავის რეზოლიუციაში უფრო გარკვეული და ენერგიული პოზიცია დაეკავებინა აღმოსავლეთ ევროპის საკითხში და კერძოთ საბჭოთა რუსეთის უარყოფითი როლის შესახებ. მაგრამ, იმ პარტიებმა, რომელთა სახელით მე აქ ველაპარაკობ, მიიღეს რა მხედველობაში მიღწეული გაუმჯობესობანი რეზოლიუციაში, მიიღეს რმ მხედველობაში, განსაკუთრებით, ინტერნაციონალის მთლიანობის და ერთსულოვნობის მნიშვნელობა, დაადგინეს, ჩემ მიერ ზემოადნიშნულ რეზერვების აღნიშვნით მისცენ ხმა მომხსენებელის მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციას. (საერთო ტაში).

აღმოსავლეთის კომისიის რეზოლიუცია უკანასკნელი საკითხათ ისკა. უკვე შეაღამე გადასული იყო, როცა თავმჯდ. დ. რამოდენიმე ორატორის სიტყვა. ამ სიტყვის ბოლოს, ორმელთა შორის აღსანიშნავია ზენაარსინაობით პოლ-ფორის სიტყვა. კონგრესი დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით. შემდეგი კონგრესი მოხდება 1927 წელს, მოსალოდნელია ინგლისში, როგორც ეს განაცხადა ჰენდერსონმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზოლუცია ევროპის და აზიის აღმოსავლეთის შესახებ.

მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპის საერთაშორისო ურთიერთობა მუშათა კლასის განუწყვეტელი ზედმოქმედების გამო თანდათან მშვიდობიანობის გზაზე დგება, აღმოსავლეთ ევროპის მდგომარეობა საშიშარ ხასიათს ღებულობს, და მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალისგან სერიოზულ დაურადღებით განხილვას მოითხოვს.

ინგლისის მუშთა მთავრობის კაბინეტის გადადგომის შემდეგ ანტაგონიზმი კაპიტალისტურ-იმპერიალისტურ სახელმწიფოების, კერძოთ ბრიტანეთის იმპერიის, ერთ მხრით და რუსეთის საბჭოთა კავშირის მეორე მხრით საშიშოთ გამწვავდა.

კაპიტალისტურ-იმპერიალისტურ სახელმწიფოებში, ძლიერდება ელემენტები, რომელნიც ჩინეთის, ინდოეთის და მესოპოტანურ ქვეყნების ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობით შეშინებულნი, რუსეთის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიულ პოლიტიკის წარმოებას მოითხოვენ.

კომუნისტური ინტერნაციონალი თავის მხრივ ავრცელებს ილიუზიებს თითქოს მუშათა განთავისუფლების შეიძლებოდეს გამარჯვებული წითელი არმიის ხიშტებით, და თითქოს ახალი მსოფლიო ომი იყოს საპირო მსოფლიო რევოლიუციის მოსახდენათ. ის ხელს უწყობს ნაციონალურ რევოლიუციურ მოძრაობას აზიისა და აფრიკაში იმ იმედით, რომ მთაზე დაყრდნობილი, სასიკეთილო ლახვარს ჩასცემს კაპიტალიზმს.

ამ მოწინააღმდეგე ტენდენციებიდან იბადება სერიოზული საშიშროება ომის.

ეს საშიშროება პირველ ყოვლისა ემეკრება ახალ სახელმწიფოებს, რომელნიც ბალტიის და შავ ზღვას შუა და ბალკანეთში მდებარეობენ, ცხადია, ამ სახელმწიფოთა წარმოშობა,—შედეგია რომაზოვების, ჰაბსბურგების და ჰოჰენცოლერნების უდლიდან ხალხთა განთავისუფლების—არის მნიშვნელოვანი გამარჯვება დემოკრატიის. მარა ამ გამარჯვებას ამცირებს ის გარემოება, რომ ამ ახალ სახელმწიფოთა საზღვრები შემოიხაზა იმპერიალისტურ სახელმწიფოების გავლენით და თანახმად მათი ინტერესებისა, და რომ მრავალ შემთხვევაში დარღვევენ იქნა უფლება ერთა თვითგამორკვევის, და უფლება ეროვნულ უმცირესობისა.

აქედან გამომდინარეობს გამუდმებული მოუსვენრობა და შიშიანობა ევროპის ამ ადგილებში, რასაც ძალიერებს ბევრ მთაგანში გამეფებული რეაქცია და ამძიმებს შემდეგი ორი გარემოება:

ერთი მხრით ამ ქვეყნებს ემეკრება სახელმწიფო გადატრიალება, რომელსაც აწყობს კომუნისტური ინტერნაციონალი, რათა ამ საბაბით მათ სომხეთის და საქართველოს ბედი განეშხაღოს.

მეორე მხრით კი კაპიტალისტურ-იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შეუძლიათ ეს ქვეყნები თავის იარაღათ გამოიყენონ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. საქმის ასეთი მდგომარეობა მუი უფრო დიდს საფრთხეს წარმოადგენს, რომ ყოველი კონფლიქტი აღმოსავლეთში ცეცხლის ალში გახვევას ემეკრება მთელ მსოფლიოს.

იღებს რა მხედველობაში ამ საშიშროებას, კონგრესი აცხადებს:

1. ინტერნაციონალი გადაჭრით (ყოველი პირობის გარეშე) იცავს ახალ სახელმწიფოთა თავისუფალ და დამოუკიდებელ არსებობის უფლებას.

ინტერნაციონალი ხელახლა და სრულიად გადაჭრით აცხადებს, რომ ყველა სოციალისტურ პარტიების, განსაკუთრებით დიდი მსოფლიო სახელმწიფოების და რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნების სოციალისტური პარტიების მოვალეობაა—შეებრძოლონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ყოველივე აგრესიულ პოლიტიკას და მოითხოვონ ადგილნა მშვიდობიანი პოლიტიკური ურთიერთობის და ნორმალურ ეკონომიურ დამოკიდებულებისა მასთან.

კონგრესი სიამოვნებით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესებას. რომელიც მოხდა უკანასკნელ ჰამბურგის კონგრესის შემდეგ—უშთავრესთა სოც. მუშ. ინტერნაციონალის ზედგავლენით. გერმანიის, ინგლისის, იტალიის, ავსტრიის, საფრანგეთის, იაპონიის და მრავალი სხვა სახელმწიფოს მიერ საბჭოთა კავშირის უფლებრივმა ცნობამ გაარღვია დიპლომატიური ბოიკოტი, რომლის მოწყობას ცდილობდენ კაპიტალისტური სახელმწიფოები.

ეს გარემოება უფლებას აძლევს ინტერნაციონალს მოუწოდოს რუსის ხალხს

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

იბრძოლოს საბჭოთა კავშირში სრული პოლიტიკური და პროფესიონალური თავისუფლების აღსადგენად და წინააღდეგნენ მისი მთავრობის ყოველივე აგრესიულ და ანექსიონისტურ პოლიტიკას, ისე როგორც ყოველგვარ პრაპაგანდას, რომელსაც სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში ძალით ჩარევა აქვს მიზნად დასახული.

სოციალისტურ მუშათა ინტერნაციონალს კარგათ ესმის, რომ ომის სიშიშროება დიდათ შემცირდებოდა, თუ ომის და ზავის საკითხის გადაჭრა საბჭოთა კავშირში ექნებოდა ხელში არა დიქტატორულ ხელისუფლებას, არამედ თვით საბჭოთა ფედერაციის ხალხებს. ამიტომ ინტერნაციონალი მთელი თავის ძალღონით უჭერს მხარს საბჭოთა ფედერაციის სოციალისტურ პარტიების მისწრაფება საბჭოთა კავშირის რეკონის დემოკრატიზაციისა და პოლიტიკურ თავისუფლების აღდგენისაკენ მიმართულს.

2. სოც. მუშათა ინტერნაც. მიესალმება ჩინეთის, ინდოეთის და მაჰმადიან ქვეყნების მშრომელთა ფართო მასების გამოღვიძებას. ს. მ. ი. სწამს, რომ ხელახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შესაძლებელი, თუ ევროპა-ამერიკის დემოკრატია თვით იცნობს ყველა ხალხის თვითგამორკვევის უფლებას და განახორციელებს მას მიუხედავად ევროპა-ამერიკის იმპერიალიზმისა. ამიტომ ს. მ. ი. ავალებს ყველა სოციალისტურ პარტიებს აწარმოონ განუწყვეტელი და ენერგიული ბრძოლა ახლის და აფრიკის დამორჩილებულ ხალხთა თვითგამორკვევის უფლებისათვის.

ინტერნაციონალი სრულს სოლიდარობას უცხადებს ჩინეთის მშრომელთ და განსაკუთრებით მოითხოვს ჩინეთის უცხო ულლიდან განთავისუფლებას, კონცესიების სისტემის მოსპობას და დაუფარგნელივ სოციალური კანონმდებლობის შემოღებას ჩინელ მუშების დასაცავათ უსაზღვრო ექსპლუატაციისაგან.

3. ს. მ. ი. მოითხოვს თვითგამორკვევის უფლების მინიჭებას ყველა იმ ხალხებისათვის, რომელნიც 1918 წლის შემდგომ სახვიო ხელშეკრულების ან ლერთა კონფედერაციის დადგენილებათა ძალით იჩაგრებიან უცხო ბატონობის ქვეშ, ამასვე მოითხოვს აგრეთვე საბჭოთა კავშირის იმ ხალხებისთვის, რომელთაც რევოლიუციის დროს მოიპოვეს დამოუკიდებლობა, როგორიცაა სომხეთი, საქართველო, უკრაინა და სხვ.

ს. მ. ი. მოუწოდებს ყველა მის შემადგენელ პარტიებს, ენერგიულათ დაიცვან ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, მოითხოვონ იმ ეროვნულ უმცირესობათათვის, რომლებიც მთლიან ტერიტორიაზე ბინადრობენ—ავტონომია, ხოლო გაფანტულ უმცირესობათათვის უფლებრივი თანასწორობა, დედა-ენის ხმარების თავისუფლება, და თავისუფლება სკოლის და კულტურის განვითარების.

ინტერნაციონალი აღიარებს, რომ ხანგრძლივი ზავი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი, თუ საერთაშორისო უფლება განვითარდება ერთა ლიგის პაქტის მე-19 მუხლის პრინციპის თანახმათ ისე, რომ შესაძლებელი გახდეს ეროვნული სტატუტის გადასინჯვა საზღვრების შესახებ თანახმათ ხალხთა თვითგამორკვევის უფლებისა ისეთ მშვიდობიან საშუალებებით, როგორიცაა სამეფიტატორო სასამართლო და პლებისციტი,—რათა დამორჩილებული ერები ახალი ომებისაგან აღარ მოელოდენ თავის განთავისუფლებას. მარა ინტერნაციონალი აღიარებს, რომ შეუძლებელია ამ პრინციპის აღმოსავლეთ ევროპაში გატარება, სანამ საბჭოთა კავშირი არ შევა ერთა ლიგაში.

4. ს. მ. ი. უსასტიკესათ გმობს ძალმომრეობის აქტებს და ტერორს, რომელიც მძვინვარებს ზოგიერთ ქვეყნებში და განსაკუთრებით ბულგარეთში და მოუწოდებს ყველა სოციალისტებს მთელი თავისი ძალღონით წინააღუდგენ ყოველივე ძალადობის აქტს და მოითხოვონ მოსპობა ყოველგვარი ტერორის.

ᲖᲝᲒᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘ ᲓᲐᲮᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ.

(საინფორმაციო).

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲡᲝᲪ. ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი დღეს ერთი უდიდესი და უძლიერესი ორგანიზაციაა, რომელიც თავს უყრის ან საერთო ყალიბში ახსამს მსოფლიო მუშათა მოძრაობის. იგი აერთებს დღეს 44 პარტიას, რომელნიც წარმომადგენელი არიან 34 ქვეყნიდან. მათ წევრთა რიცხვი 6.250.000 აღწევს, ამათგან 750,000 მუშა-ქალებია. ინტერნაციონალის

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სექციებს სხვადასხვა ქვეყნებში ყაჯთ პარლამენტში საერთო რიცხვით 1.022 დეპუტატი, ყოველ-დღიურ სოციალისტურ გაზეთებს რიცხვი უდრის 312, აქედან ყველაზე მეტი გერმანიაში (167). შემდეგ დანიაში (61) და სხვ.

იმ პროფ. კავშირებში, რომელნიც ამ ინტერნაციონალს მხარს უჭერენ, გაერთიანებულია 15.500,000 მუშა.

უკანასკნელ არჩევნებში სოციალისტურმა პარტიებმა თავი მოუყარეს 30 მილიონ ამრჩეველს. ეს ვეებრთელა არმია მიეყვება მის ლოზუნგებს.

ევროპაში თითქმის ყველა სახელმწიფოებიდან შედიან სოციალისტები ინტერნაციონალში. გამონაკლისია შვეიცარია, რომლის სოც. პარტია დღემდე განზე დგას, მაგრამ მოკლე ხანში მისი შემოსვლაც მოსალოდნელია.

ევროპის მუშათა მოძრაობას მხარი უდგებიან ამერიკის მუშებიც (შეერთებული შტატები, არგენტინა და სხვ.), თუმცა იქ ჯერ კიდევ ძლიერია პარტიკულისტზმი და სოციალისტური მოძრაობა შედარებით სუსტია.

ახლიდან აღსანიშნავია პარტიები იაპონიის, ჩინეთის, სადაც უკანასკნელ მოძრაობაში სოც.-დემოკრატია თანდათან იკრებს სიმპატიებს თავის გარშემო, და ნიადაგს აცლის მოსკოვის აგენტებს, რომელთაც სურთ თავის ჭაკუაზე ათამაშონ ამოძრავებული რევოლიუციური მასსები. და სხვ.

ამ რიგად სოციალისტური ინტერნაციონალი მართლა მსოფლიო ორგანიზაციაა, რომლის ძალა და გავლენა ღღითი ღღე იზრდება. თავის 30 მილიონიანი არმიით იგი იპყრობს მთელ ქვეყნიერებას, როგორც იდეა და როგორც მომქმედი ძალა იგი ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ხდება კაცობრობის გარდაქმნის, სამართლიანობის და თავისუფლების საფუძველზე.

სოციალისტური პარტიები ყველგან ლეგალურია, გარდა საბჭოთა რუსეთისა, სადაც მათ სოციალიზმის სახელით სდევნიან კომუნისტები.

მუშ. ინტერნ. სეკრეტარიატი. უკანასკნელ კონგრესზე ინტერნაციონალის მდივნად არჩეულ იქნა ფრ. ადლერი. სეკრეტარიატი ლონდონიდან გადმოტანილ იქნა შვეიცარიაში—ციურიხში.

კომპარტიის რღვევა გერმანიაში. ქართველმა მკითხველმა მოსკოვის ოფიციალურ პრესიდან უნდა იცოდეს გერმანიის კომპარტიის სავალალო ბედი უკანასკნელი წლის განმავლობაში. მას მოსკოვი სულ ახალ-ახალ ბრძანებებს უგზავნის და სულ უფრო და უფრო ანგრევს. ბოლოს კომინტერნის უნიჭო პაპმა, ზინოვიევმა, საჭიროთ დაინახა საქვეყნოთ გამოსულიყო გამანდგურებელი კრიტიკით მის წინააღმდეგ და მოეთხოვა მისი კიდევ ერთხელ გადახალისება. გაისმა ბრძანება: ისევ მარჯვნით დაიხიეთო! მაგრამ ეს «ხანალი კურსი» მხოლოდ ახალ არევდარევას იწვევს კომინტერნის გერმანელ ლაშქარში: გაჩაღდა შინაგანი დისკუსია, რომლის გამო კომუნისტური «როტ ფანე» სჩიოის: «ის ამხანაგები, რომელთაც ხრაკები და მანოვრები შემოაქვთ პარტიულ დისკუსიაში, 40 პროცენტს ჰოლ ამბობენ, 60-ს კი არა»-ს. და ამით ფიქრობენ გაექცევ გარკვეულ გადაწყვეტილებას, ეს ამხანაგები აწარ მოეტენ დისკუსიას, რომელსაც პარტია გახარწნისაკენ მიჰყავს». ეს ამხანაგები გახლავან ის მემარცხენე კომუნისტები, რომელთაც არც ზინოვიევის «პაროლის» მიღება სურთ, არც თავიანთი პორტების «მემარჯვენეებისთვის» დათმობა. მემარჯვენეები კი მის-წრაფიან ურჩები გაეძევნონ, და მათ ალაკის მოსკოვის სუფრაზე თვით წამოსკუბდეს. იწყება ყაჯალმაყალი, დავა, ინტრიგები, რაც გუულს უცოცებს ის შედარებით მცირე რიცხვს მუშებისას. რომელიც ჯერ კიდევ შერჩენია კომუნისტურ რიგებს გერმანიაში. მუშები მასსიურათ გარბიან ზინოვიევის საბრძანებლიდან. აი მაგალითი: ჰალლე-მერსებურგის ინდუსტრიულ რაიონში (შუა-გერმანია) კომპარტიას 1923-ში 28,000 წევრი ყავდა; ამაოგან—მარტო ქალაქ ჰალლეში—8,000. ეხლა კი მთელს შუა-გერმანიაში, თვით კომუნისტური სტატისტიკით, ითვლება მხოლოდ 8,000 წევრი! გაქცევიათ 20,000. კარგი შემატებაა!

გერმანიის კომპარტია და «მუშათა დელეგატები» საბჭოთა ქვეყნებში. რა უშველის კომპარტიების შეუჩერებელ კატასტროფიულ რღვევას? მარტო ფულის ხარჯი საკმაო არაა. საჭიროა მორალი და იდეა. და რადგან ევროპის კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნისტები მოსკოვის ანარეკლია, იდეას და მორალსაც იქიდან მოელიან. მოტანა კი ევალება რუსეთში წარგზავნილ «დელეგაციებს». მათ უნდა გამოაცოცხლონ ევროპაში მომაკვდავი კომეფნ. მოძრაობა და მას სული ჩაბერონ საბჭოთა ქვეყნების მაგალითით. ეს მათი უკანასკნელი იმედი და სასოება. აი თვით კომუნისტების დოკუმენტი ამაზე. რომელიც ბერმანიის ს.-დ. გაზეთ «ფორვერტსში»ი გამოქვეყნდა.

სეკტემბერში ჭ.ელენში მოხდა საოლქო კონფერენცია კომპარტიის ხელმძღვანელების. როგორც კონფერენციის ანგარიში მოგვითხრობს, მისი ერთი მონაწილე კლეპერი აკეთებს მოხსენებას:

«უახლოეს დროში უნდა გაიმართოს მასიური კრებები, რომელზედაც რუსეთიდან დაბრუნებულმა დელეგატებმა თავიანი შთაბეჭდილებები უნდა გაუზიარონ მუშებს. დელეგაციი აუარბელი ფული დაჯდა და თუ მისი შედეგების ფართოთი გამოყენება ვერ შეეხსენოთ საბიტაციოთ, პარტიის საქმე რამოდენიმე წლით დაკარგულია. რუსეთიდან დაბრუნებული დელეგატები უნდა გახდენ მთავარი «დამკვრელი ნომერი» კომუნისტებისა... დამარცხება აქ ძმიმე შედეგებს ვვიქადის. პარტიაა. როგორც ასეთს, ებსოლიუტურად ესაჭირო

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲨᲕᲔᲓᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲣᲤᲠᲝᲗᲓᲔᲑᲘᲐᲜ ს.-დ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ. ᲨᲕᲔᲪᲘᲐᲨᲘ ᲝᲠᲘᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ: ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘ «ᲙᲝᲛᲘ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐ»—ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ 5000 ᲬᲔᲠᲘᲐᲜ ᲧᲐᲖᲘ, ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ 65.000 ᲮᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲛ ᲓᲐ 5 ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲐ ᲒᲐᲘᲯᲐᲓᲐ; ᲯᲣ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ. ᲮᲝᲚᲔᲛ ᲛᲔᲠᲛᲝᲠᲘᲐ «ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲜᲘᲡ», ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲒᲐᲚᲣᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ ᲞᲘᲠᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲣᲜᲐᲒᲐᲛᲘ ᲛᲝᲡᲙᲕᲘᲡ ᲓᲘᲪᲢᲐᲢᲣᲠᲐ, ᲩᲐᲯᲐᲖᲘ 3000 ᲬᲔᲠᲘᲐᲜ. ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲛ 25.000 ᲮᲛᲐ ᲛᲘ 1 ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲐ ᲒᲐᲘᲯᲐᲓᲐ. ᲝᲠᲘᲝᲡ ᲣᲛᲪᲘᲜᲔᲡᲘ ᲛᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲐ ს.-დᲛ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲒᲘᲡᲐᲜ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ 150.000 ᲬᲔᲠᲘᲐ, 725.000 ᲐᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ 104 ᲓᲔᲞ. ᲧᲐᲖᲘ. ᲛᲐᲠᲯᲕᲐ, ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲐᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘᲡᲯᲔᲒᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ «ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ» ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲨᲘ, ᲒᲐᲚᲣᲚᲘ ᲡᲘᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲜᲢᲘᲠᲔᲡᲘᲑᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲖᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲐᲖᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘᲡᲯᲔᲒᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲒᲐᲘᲠᲗᲛᲔᲜᲘᲡ ᲘᲜᲢᲘᲠᲔᲡᲘᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲝᲚᲝᲪᲐᲠᲐᲯᲘᲡᲐ ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ ს.-დᲛ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲒᲘᲡᲐᲜ ᲐᲛᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ.

ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲭᲐᲖᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲠᲣᲖᲘᲜᲘᲐᲨᲘ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲗᲕᲘᲜᲘᲗᲐᲜ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲔᲢᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲘᲗ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘᲡ» ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲘᲓᲝᲑᲐᲨᲘ. ᲐᲭᲐᲖᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲘᲑᲘᲠᲝᲑᲔᲓᲘ ᲩᲐᲚᲔᲒᲓᲐᲗ ᲡᲝᲩ. ᲓᲔᲛ. ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ, ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲗᲝᲡ ᲔᲠᲗᲐᲜᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲘᲜᲢᲘᲠᲔᲡᲘᲗᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲘᲓᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲛᲬᲘᲓᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲓᲒᲐᲡ ᲐᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲗᲐᲜ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ.

ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲭᲐᲖᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲠᲣᲖᲘᲜᲘᲐᲨᲘ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲗᲕᲘᲜᲘᲗᲐᲜ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲔᲢᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ «ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘᲡ» ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲘᲓᲝᲑᲐᲨᲘ. ᲐᲭᲐᲖᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲘᲑᲘᲠᲝᲑᲔᲓᲘ ᲩᲐᲚᲔᲒᲓᲐᲗ ᲡᲝᲩ. ᲓᲔᲛ. ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ, ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲗᲝᲡ ᲔᲠᲗᲐᲜᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲘᲓᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲛᲬᲘᲓᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲓᲒᲐᲡ ᲐᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ.

ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲭᲐᲖᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲠᲣᲖᲘᲜᲘᲐᲨᲘ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲗᲕᲘᲜᲘᲗᲐᲜ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲔᲢᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ «ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘᲡ» ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲘᲓᲝᲑᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲛᲬᲘᲓᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲓᲒᲐᲡ ᲐᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ.

ᲩᲔᲩᲝ-ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ. ᲩᲔᲩᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲠ ᲓᲐᲡᲐᲧᲠᲓᲔᲜᲐᲓ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲬᲐᲠᲗᲜᲐ «ᲙᲝᲛᲘ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐ»—ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ 5000 ᲬᲔᲠᲘᲐᲜ ᲧᲐᲖᲘ, ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ 65.000 ᲮᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲛ ᲓᲐ 5 ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲐ ᲒᲐᲘᲯᲐᲓᲐ; ᲯᲣ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ. ᲮᲝᲚᲔᲛ ᲛᲔᲠᲛᲝᲠᲘᲐ «ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲜᲘᲡ», ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲒᲐᲚᲣᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ ᲞᲘᲠᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲣᲜᲐᲒᲐᲛᲘ ᲛᲝᲡᲙᲕᲘᲡ ᲓᲘᲪᲢᲐᲢᲣᲠᲐ, ᲩᲐᲯᲐᲖᲘ 3000 ᲬᲔᲠᲘᲐᲜ. ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲛ 25.000 ᲮᲛᲐ ᲛᲘ 1 ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲐ ᲒᲐᲘᲯᲐᲓᲐ. ᲝᲠᲘᲝᲡ ᲣᲛᲪᲘᲜᲔᲡᲘ ᲛᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲐ ს.-დᲛ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲒᲘᲡᲐᲜ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ 150.000 ᲬᲔᲠᲘᲐ, 725.000 ᲐᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ 104 ᲓᲔᲞ. ᲧᲐᲖᲘ. ᲛᲐᲠᲯᲕᲐ, ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲐᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘᲡᲯᲔᲒᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ «ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ» ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲨᲘ, ᲒᲐᲚᲣᲚᲘ ᲡᲘᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲜᲢᲘᲠᲔᲡᲘᲑᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲖᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲛᲬᲘᲓᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲓᲒᲐᲡ ᲐᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ.

ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲭᲐᲖᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲠᲣᲖᲘᲜᲘᲐᲨᲘ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲗᲕᲘᲜᲘᲗᲐᲜ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲔᲢᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ «ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘᲡ» ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲘᲓᲝᲑᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲛᲬᲘᲓᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲓᲒᲐᲡ ᲐᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ.

ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲭᲐᲖᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲠᲣᲖᲘᲜᲘᲐᲨᲘ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲗᲕᲘᲜᲘᲗᲐᲜ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲔᲢᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ «ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘᲡ» ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲘᲓᲝᲑᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲛᲬᲘᲓᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲓᲒᲐᲡ ᲐᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოვა პარტია აგრეთვე რამოდენიმე დეპუტატმა, რომლებმაც საკუთარი საპარლამენტო ფრაქციი დაარსეს.

ამ წლის განმავლობაში იქ დაირღვა ე. წ. დამოუკიდებელი ს.-დ პარტია, რომელიც შედგებოდა ორ ფრთისაგან. ერთი ფრთა, 7.000 წევრამდე წინეთ სოც.-დ—ოდან გამოსული, უკანვე დაბრუნდა პარტიაში. მეორე ფრთა 3.000 წევრამდე ნაციონ. სოც. პარტიიდან გამოსული. კომუნისტებისაკენ გადავიდა. რამაც ასეთი აფეიქრიკა კომუნისტური პრესა. ნამდვილათ ეს დიდს არაფერს შესძენს კომუნისტურ ლაშქარს.

ბ ე ლ გ ი ა. აქ კომუნისტების გავლენა ხომ მუდამ უმნიშვნელო იყო. მოსკოვი ბევრს ეცადა ფულით და ჩვეულებრივი ფანდებით ბელგიის მუშათა პარტიის სიმაგრე, მაგრამ ვერაფერს გახდა. უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში, გასულ აპრილში, სოციალისტებმა გაიყვანეს 79 დეპუტატი და მიიღეს 820.650 ხმა (მეტი ვინემ რომელიმე სხვა პარტიამ): კომუნისტებმა კი გაიყვანეს 2 დეპუტატი და მიიღეს 34,147 ხმა. 1921 წელთან შედარებით ამ წლის არჩევნებში გამოცხადდა 149,194 ზედმეტი ამრჩეველი: ამათგან 99 ნაზ. პროცენტმა ხმა მისცა მუშათა პარტიას.

ამგვარად, მუშათა პარტია აერთიანებს მთელ შეგნებულ პროლეტარიატს ბელგიისას.

თვით კომინტერნის ბოწმობით, ბელგიის კომპარტიის წევრთა რიცხვი 600-საც არ უდრის.

ჩ ი ნ ე თ ი ს ა მ ბ ე ბ ი დ ა ს ო ც. ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი. ჩინეთის უკანასკნელმა ამბებმა მიიპყრო მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის ყურადღება. მრავალ ქვეყნებში პროლეტარიატის პოლიტიკური და პროფესიონალური ორგანიზაციები თანაგრძნობას და სოლიდარობას უცხადებენ ჩინელ მუშებს.

სხვათა შორის ინგლისის მუშათა პარტიამ ტრადუნიონების მთავარ საბჭოსთან ერთად მიიღო საპროფსტერო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს:

1. დაუყონებლივ მიღებულ იქნას ზომები ინგლისის მთავრობის მიერ ჩინეთის პორტებში შრომის დაცვის კანონების გასატარებლათ და დახმარება გაეწიოს ჩინეთის მთავრობას, რომელსაც აზრათ აქვს დააწესოს შრომის მფარველობის კანონმდებლობა და გაუმჯობესოს ჩინეთის მუშათა მდგომარეობა.

2. დიდმა ბრიტანეთმა აიღოს ინიციატივა საერთაშორისო კონფერენციის მოსაწვევათ, რათა გაუქმებულ იქნას ჩინეთში ექსტერიტორიალობის რეჟიმი.

ამვრიგადვე სოციალისტები მოითხოვენ შეერთებული შტატების მთავრობისაგან, რომ მან ხელი აიღოს ჩინეთში უცხოელ კაპიტალისტების მხარის დაჭერაზე.

ჩინეთის ს.-დემოკრატიული პარტია თავის მოწოდებაში საერთაშორისო პროლეტარიატის მიმართ ამბობს სხვათა შორის:

«თეორი იპეტრიალიზმის ვვერდით საბჭოთა მთავრობის წითელი იმპერიალიზმიც თავის მხრივ ხელს უწყობს მახინაციებს, რომლებიც სამოქალაქო ომს ჩაადგენენ კანტონსა და იუნნანს შორის...

«ჩინელი მუშები, რომლებიც მიუხედავათ რეპრესიებისა იწყებენ ორგანიზაციულად დარაზმვას უკუაგდებენ როგორც ბოლშევიზმის საომარ ქადაგებას, აგრეთვე ევროპიდან და სხვა მხრიდან მოვლინებულ ომის მეთოდებს. მათი სურვილები მიმართულია სოციალისტური დემოკრატიისადმი. მთელ ჩაგრულ ჩინეთის ხალხთან ერთად ისინი მოითხოვენ თანასწორობას, სამართლიანობას და ზავს».

საფრანგეთის სოც. პარტიის ხანგრძლივ ყრილობა.

(14—15 აგვისტო)

მარსელის კონგრესის წინ შესდგა საგანგებო ყრილობა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის. გარდა იმ კითხვებისა, რომელიც წინ ედვა მარსელის კონგრესს, ამ ყრილობამ განიხილა მთელი რიგი საშინაო საკითხების. საფრანგეთის სოციალისტური პარტია ისეთ დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ცხოვრებაში. მას ისეთი გავლენა და მნიშვნელობა აქვს მოპოვებული, რომ ფართო საზოგადოება გულდასმით ადევნებდა თვალს მის მუშაობას. ძირითადი საკითხი იყო საკითხი კოალიციის. პენლევეს მთავრობის პოლიტიკა არავის არ აკმაყოფილებს. მასთან პარტიას მოუხდება შეტაკება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შექმნის საპარლამენტო კრიზისს. ასეთ პირობებში იბადება საკითხი კოალიციის შექმნის და მთავრობაში მონაწილეობის.

პარტიის ერთი ფრთა რენოდელის მეთაურობით იცავს მონაწილეობის პოლიტიკას—დემოკრატიული რეფორმების გასატარებლათ და თავის დასაცავათ რეაქციისაგან, რომელიც ჯერ კიდევ ძლიერია საფრანგეთში. მემარცხენენი და ცენტრი შესაძლებლათ არ სცნობენ მონაწილეობას, სანამ პარტია კიდევ უფრო არ გაგამაგრდება და არ გაძლიერდება იმდენათ, რომ ხელისუფლებას დაეპატრონოს.

ბრაკეს. ბლიუმის და სხვ. აზრით დღეს დამოუკიდებელი და ხელგახსნილი ყოფნა პარტიის უფრო სასარგებლოა დემოკრატიული რეფორმების გასატარებლათ და პარტიის მუშათა კლასში გასაძლიერებლათ.

წინეთ ასეთ პირობებში ყოველთვის ეძებდენ ერთსულოვნათ რაიმე კომპრომისის მონახვას. ამ ქამათ პარტია იმდენათ გაძლიერდა, რომ შეუძლია შინაური იდეური ბრძოლა უმტკიცნეულოთ აიტანოს და პარტიის გავლენას და მნიშვნელობას არაფერი აენოს. ამიტომ უმცირესობამ გამოსცა თავის შეხედულების დასაცავათ ვრცელი რეზოლიუცია მანიფესტის სახით. უმრავლესობამ მიიღო დადგენილება მთავრობაში არ შესვლის. მაგრამ იგი მზათაა მხარი დაუჭიროს ყოველ წრფელ დემოკრატიულ მთავრობას, რომელიც გაატარებს ზავის პოლიტიკას, ფინანსების გაჯანსაღებას, სამართლიან გადასახადებს, სოციალურ დაზღვევას, სამხედრო და სასკოლო რეფორმებს.

მარკოს საკითხში ყრილობამ დაგმო პენლევეს მთავრობის პოლიტიკა, და დადგინა ომის კრედიტების წინააღმდეგ მისცეს ხმა. ამასთანავე აირჩია სპეციალური კომისია კოლონიალური საკითხის შესამუშავებლათ და მომავალ კონგრესზე წარმოსადგენათ.

კონგრესმა ერთხმათ გამოაცხადა პარტიის გარეშე დეპ. ვარენი, რომელმაც გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა მიიღო ინდო-ჩინეთში პარტიის დაუკითხავათ.

ყრილობამ აღნიშნა გაძლიერება პარტიულ ორგანიზაციების, წევრთა რიცხვის განსაკვირებელი ზრდა, რომელიც ამ ქამათ აღწევს 108,000, ე. ი. სამი წლის განმავლობაში გაორკეცდა, და პირველი ადგილი დაიპირა. უკანასკნელ დეპარტამენტების არჩევნებში პარტიამ მოიგო 55 ადგილი. წინეთ ყავდათ 85 ხმოსანი, ახლა ყავთ 135. ზრდა მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ამ კომუნისტებმა ამავე დროს დაკარგეს 2 წელი ხმების. ყავდათ 17 ხმოსანი, გაიყვანეს მხოლოდ 6. ეს უკანასკნელნი ამ რიგათ თითქმის ყველგან გაკრობაზე არიან, და მხოლოდ პარიზის მიდამოებში, სადაც წინეთ ანარქოსინდიკალისტები ბატონობდენ, ჯერ კიდევ ყავთ მიმდევრები, თუმცა ძალზე შეთხელებული. სოციალისტური პარტია უდავოთ ბატონდება მუშათა კლასში და პირველ ადგილს იჭერს თავის შეკავშირებულ წევრთა რიცხვით საერთოთ ყველა საფრანგეთის პარტიებში.

საქართველოში.

«ჩვენი ერთობა». რედაქციამ მიიღო საქართველოდან მთელი რიგი მასალებისა, რომლებიც მოწმობენ ჩვენი პარტიის ენერგიულ, მწყობრ და ცხოველ მუშაობას. მათ შორის არის 5 დიდი მოწოდება, გამოცემული ცენტრ. კომიტეტის მიერ გასულ ზაფხულის განმავლობაში და გაზეთი «ჩვენი ერთობის» 26 მაისის ნომერი. გაზეთი შეიცავს მოზრდილ ფორმის 4 გვერდს. შიგ მოთავსებულია წერილები: «აგვისტო და მაისი», რომლიდან ამონაწერი მოყვანილია ჩვენ გაზეთში, «დამოუკიდებლობის აქტი», «26 მაისი», რომელშიც აღნიშნულია ამ ისეთი ისტორიული დატის მნიშვნელობა. შემდეგ წერილი «ჩვენი გზა» არკვევს ჩვენი პოლიტიკის ძირითად დებულებას და განთავისუფლების პერსპექტივებს. «აგვისტოს გაკვეთილები», ეხება აჯანყებას და მის შედეგებს. შემდეგ მოთავსებულია მუშათა წერილები, ქრონიკა და დაბოლოს სტატია: «როგორ სწყვეტენ კომუნისტები ეროვნულ საკითხს». ფელეტონთან გადადებულია ნაწილი ნ. ჟ. წიგნიდან: «საბჭოთა წყობილება».

კამპანია დამოუკიდებელ კომიტეტის პროცესის ირგვლივ. ცენტრალურ კომიტეტს გამოუცია 3 ფურცელი დამკომის გასამართლების შესახებ, ერთი პროცესის წინ, მეორე—პროცესის დღეებში, მესამე კი 5 აგვისტოს—პროცესის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასრულების შემდეგ, ფურცლები მოწმობენ, რომ პროცესმა, მიუხედავად დაბურული კარებისა (არ დაუშვეს თვით «კახიანი» კომუნისტური პრესის წარმომადგენლებიც კი) ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა მთელ საქართველოში.

მოგვყავს ორიოდე ამ[illegible]ერკენი 5 აგვისტოს თარიღით გამოშვებულ მოწოდებიდან: «პროკურორა დაიბნა, მსაჯლული პანიკამ მოიცვა. ერთმაც და მეორემაც და მათთან ერთად ოკუპანტების «მთავრობამ» უცეტ საბრალმდებლო სკამზე დაინახეს თავიანი თავი. სინამდვილეში ეს ასეც მოხდა... მშრომელმა ხალხმა კი მათ შესაფერი განაჩენიც გამოუტანა თუნდ იმ დემონსტრაციით და აღფრთოვანებული ოვაციებით, რომლითაც ხალხი შეხვდა სასამართლოს დარბაზიდან გამოყვანილ პატიმრებს პროცესის დამთავრების შემდეგ 3 აგვისტოს საღამოს».

გერმანელ მუშების დელეგაცია საქართველოში. აგვისტოს დასაწყისს საქ. ეწვია მორიგი დელეგაცია. ამ ახალ სტუმრებს ჩვენმა ც. კ. გადასცა მემორანდუმი, რომელშიაც მიუთითებს მათ, თუ როგორ მოატყუილებიეს თავი კომუნისტებს წინანდელმა დელეგაციებმა (პერსელის, ინგლისის ქალთა, ფრანგ-ბელგიელ მუშების). ის აფრთხილებს მათ არ გაიმეორონ იგივე შეცდომა და აუწერს ნამდვილ სურათს საქართველოს მდგომარეობისას ოკუპანტების ტერორისტულ რეჟიმის ქვეშ. ბოლოს მემორანდუმში განმეორებულია წინადადება ანკეტის მოხდენის შერეული სოციალისტ-კომუნისტური კომისიის მიერ, და თუ ქართველ მშრომელთა ერთი მესამედი მაინც აღმოჩნდება ბოლშევიკურ ოკუპაციის მომწონებელი, პარტია აცხადებს, რომ ყოველგვარ ბრძოლაზე აიღებს ხელს.

მემორანდუმს ც. კ. დაურთო «ღია წერილი», რომელშიაც სთხოვს დელეგაციას ერთი თავის წევრთაგანი გააყოლოს მემორანდუმის მომტანს და ნახოს მისი ავტორნი, რომ პირადი მოლაპარაკებით დარწმუნდეს დოკუმენტის შინაარსის სრულ სისწორეში. დელეგაციამ ამ წინადადების მიღება არ ინება. ის სავსებით დაკმაყოფილდა ჯალათების ახრის მოსმენით.

ამის გამო საქ. ც. კ. სპეციალური მიმართვა გამოგზავნა გერმანიის მუშათა კლასისადმი, რომელშიც ამხელს გერმანიის მუშათა სახელით მომქმედი დელეგაციის უღირს საქციელს საქართველოში და მოუწოდებს არაფერი დაუჯერონ ამ «დელეგატებს», რომლებიც მხოლოდ ორ დღეს და ისიც «კომუნისტური სათვალეებით» ათვალიერებდენ თფილისს.

სამივე აღნაშნული დოკუმენტის პირი ჩვენ ხელთ არის და მოკლე ხანში გამოქვეყნებულ იქნება უმთავრეს ევროპიულ ენებზე...

პარტიული ყრილობა საქართველოში. ამ რამდენიმე ხნის წინეთ შედგა საქართველოში საქარ. სოც.-დემ. მუშ. პარტიის ყრილობა, რომელშაც განხილნა მიმდინარე პოლიტიკური საკითხები და გამოიტანა გადაწყვეტილებები მომენტზე, ტაქტიკაზე, მუშათა კომისიაზე, მთავრობაზე, დანარჩენ პარტიებთან დამოკიდებულებაზე და სხვ. რეზოლიუციები მოკლე ხანში დაიბეჭდება.

პოლიტიკა ტერორი. ივნისის დამლევს ქუთაისში ჩეკისტებმა მიპარვით მოკლეს დამე ქუჩაში ტყვიით ორი წევრი ქუთაისის ს.-დ. კომიტეტის, ამხ. ალფაიძე და ფხაკაძე.

დათიკო ლეშთაძე.

ძნელია იმ ახრის შერიგება, რომ აღარ არის ის, ვინც რამდენიმე წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა უსწორო ბრძოლაში ჩაბმულ ახალგაზდობას დამპყრობელთა წინააღმდეგ. ნუ თუ აღარ გვყავს ის, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე ქართველ მარქსისტულ ახალგაზდობის აღზრდას და დარაზმვას მოანდომა, ვინც მთელი თავისი ახალგაზდური ენერგია ერის და მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს შესწირა!

ამხ. დათიკო ჯერ მეფის მთავრობის დროს ჩაება ახალგაზდა მარქსისტთა მოძრაობაში, და მალე მისი ერთი მეთაურთაგანი გახდა. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაცია გაფართოვდა, და ამხ. დათიკომ თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენერგია გაათრაკეცა. იგი იმ თავითვე ამ ორგანიზაციის ცენტრ. კომიტეტის წევრია და ეკუთვნილ «ახალი კვალის» ერთ-ერთი რედაქტორი. 1920 წლამდე ის ახალგაზდათა ტაკის თავმჯდომარე იყო და დაუფალავი ენერგიით ემსახურებოდა ახალგაზრობის პოლიტიკურად აღზრდის საქმეს. საქართველოს დამოუკიდებლობის გაზეცხადების შემდეგ ის სხვა მეტათ სიპასუხისმგებლო სამუშაოსაც ასრულებდა, თავისრობის მდივანი იყო.

1921 წელს ქართველი ერის ტრაღედიით მოზარი სოციალ-დემოკრატიის საქმიანობის და ბრძოლის ასპარეზი ერთი ათათ გაფართოვდა. დათიკო ამ ბრძოლაში ერთი პირველთაგანია და მისი უშველო ხელმძღვანელობით მარქ. ახალგაზდობა მოწინავე პოზიციებზე დგას, შეურყეველის ენერგიით და ახალგაზდური გატაცებით. ბოლშევიკებმა იცოდენ რა შეკავშირებული მარქსისტული ახალგაზდობის ძალა, იმ თავითვე ნიშანში ამოიღეს ის და შემოსვლის უმალ დაუწყეს მის წევრებს საშინელი დევნა და წამება ჩეკისტების ხროვის და უდღეური «კომსომოლის» საშუალებით. დათიკოს, როგორც ამ ორგანიზაციის თავმჯდომარეს, პირველს ატუსაღებენ, თუმცა ამ ხანათ მალე ახერხებს განთავისუფლებას და აგრძელებს თავის საყვარელ საქმეს. მეორეთ ის დაიპატიმრეს სრულიად საქართველოს ახალგაზდა მარქსისტთა კონფერენციის წინ, 1921 წ. ზაფხულის გასულს. მიუხედავად იმისა, რომ კონფერენცია მთავრობის მიერ ნება დართული იყო. განთავისუფლების შემდეგ ის მალე გადავიდა არალეგალურ ცხოვრებაზე. რადგანაც ორგანიზაციას წაართვეს ყოველგვარი ლეგალური მეშობის საშუალება. მალე ის გაეზავნილ იქნა სტუდენტთა არალეგალურ ინტერპარტიულ კომიტეტში წარმომადგენლათ. სადაც ის სარგებლობდა დიდი გავლენით და «ეტორატეტით. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა მოსწავლე ახალგაზდობის მიერ მოწყობილი რამდენიმე ცნობილი საპროტესტო დემონსტრაცია, საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ.

1923 წლის თებერვალში მას კვლავ ატუსაღებენ პროვოკატორ ჩუბინინის საშუალებით, ორ ამხანაგთან ერთად. აქედან იწყება დათიკოს აუწერელი წამება ჩეკის ჯალათების მიერ. მს ათავსებენ ყოველთ საშინელ სარდაფში, სადაც ჯოჯოხეთურ პირობებში და საშინელ წამებაში დაჰყო 29 დღე. მიუხედავათ ამისა ის, როგორც მოსალოდნელი იყო, მტკიცეთ დგას თავის ღირსეულ პოსტზე და თავის სიმტკიცით ჩეკის ჯალათებსაც კი აოცებს, მაგრამ ის გახდა ამ საშინელების მსხვერპლი. მისი ისედაც დასუსტებული სხეული სავსებით მოშალა ამ ჯოჯოხეთურმა წამებამ და ის შეპარობილი საშინელი სენით (ტელეკით) ამოყავთ სარდაფიდან. ამის შემდეგ კიდევ კარგა ხანი დაჰყო ჩეკაში, სიიდანაც ის საგუბერნო ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს სრულიათ დასუსტებული და ღონე მიხდილი; მისი მდგომარეობა მაინც უარესდებოდა და ჩეკამ, დარწმუნებულმა, რომ ის საშიროებას ალარ წარმოადგენდა, ნება დართო თავის ბინაზე გადაყვანის. თუმცა აქაც საგანგებო მცველებთან ჯარშეები ყავდა მიჩენილი. ამ დროს მოსდა ე. წ. «ახალგაზდა მარქსისტთა სალიკვიდაციო კონფერენცია», რომელზედაც ყურით მოთრეული დელეგატები საქვეყნოთ ამხელდენ თავის მოსყიდვას «ჩეკის» მიერ. ამაშიაც ჩეკამ დათიკოს დანაშაულობა დაინახა და განრისხებულმა ის კვლავ ციხის საავადმყოფოში გადაიყვანა. 1923 წლის ბოლოში მს ნება დართეს აბასთუმანში წასვლის.

ასეთ პირობებში ის მაინც ახერხებდა დირეკტივების მიწოდებას ამხანაგებისადმი, რომელთათვის ის სიტყვას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გასული წლის აგვისტო-სექტემბრის აჯანყების დამარცხებამ ბევრი საუკეთესო ახალგაზდა გამოგვაცალა ხელიდან დათიკოს მიერ ბრძოლის ასპარეზზე გამოყვანილი. მათში ბევრი მისი პირადი ამხანაგიც. ეს პირდაპირ საბედისწერო შეიქნა მისი ჯანმრთელობისათვის. და ის ამ დღიდან თანდათან ქრება. ამას თან ერთვის ჩვენი ორგანიზაციის სიმტკიცის და სიამაყის ძვირფასი ამბ. ლადო გიორგობიანის ჩეკის მიერ წამება და დახვრეტა. და 7 ივლისს იგი სამუდამოთ ხუჭავს თავის მიმხიდველ და მოსიყვარულე თვალებს.

ძვირფასო ძმაო დათიკო! უდროოთ გთხრიდ სიფლავში შენ ჩაიტანე ურაეეი რწმენა, რომ სამართლიანობა კვლავ გაიმარჯვებს და ქართველი ერი დაიბრუნებს დაკარგულ თავისუფლებას! დაგვიტოვე წმინდა ანდერძი «შეუპოვარი ბრძოლა მტარვალების წინააღმდეგ ქართველი ერის და კაცობრიობის ბრწყინვალე გამარჯვებისთვის». და წაბედეს, რომ შენის ხელმძღვანელობით და შენს გვერდით აღზრდილნი ბრძოლონი ამას ურაეეთ შეასრულებენ. ეს ზუსტართ რომ შენი ცხედარი საფლაიამდისაც ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივაცილეთ და უკანასკნელად ვერ გამოვეთხოვეთ, ბევრს ჩვენგანს ესეც არ გვარგუნა ბედმა. მაგრამ იცოდე, რომ კვლავ მოვალთ შენ საფლავთან გაშლილი დრამშიმი ხელმი და გახარებით შენი იდეალების განხორციელებას, რომელსაც ზვარაკად შეეწირე. ეხლა კი მშვიდობით საუკეთესო მეგობარო და ძვირფასო ამხანაგო შენ არასოდეს არ დაგივიწყებს შენს ამხანაგებთან ერთად ქართველი ერი.

30 ივლისი, 1925 წ. საფრანგეთი. Შ. ბ—ლი.

ᲘᲚᲘᲐᲜ ᲙᲝᲞᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ილ. კოპალეიშვილი დაიბადა 1865 წელს სოფ. ეწერში (სამტრედიის რაიონი). ადრევე ის თფილისში მთავარ სახელოსნოში მუშად შეედა. აქ ის 1898 წ. სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას გაეცნო და თავიდანვე მოწინავე სოციალ-დემოკრატ—მუშათა შორის დიდი გავლენა მოიპოვა, როგორც საუკეთესო ორგანიზატორმა. 1900 წ. მოხდა რკინის-გზის პირველი გაფიცვა. ამხ. კოპალეიშვილმა მასში აქტიური მონაწილეობა მიიღო. ის შეიპყრეს და სხვებთან ერთათ სოფელში გაგზავნეს. ერთხანს შემდეგ ის თფილისში დაბრუნდა და კვლავ საორგანიზაციო მუშობას შეუდგა. 1903 წლის დასაწყისში ის ქ. ბათუმში გაემგზავრა, აქ ის თავიდანვე სოც.-დემ. ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოს წევრი იყო და მუშათა შორის განსაკუთრებული გავლენით და სიყვარულით სარგებლობდა. ბათუმის ქარხნების დახურვის შემდეგ ის თავის სოფელში დაბინავდა და აქ გლეხთა შორის მუშაობას განაგრძობდა. როგორც მოწინავე და გავლენიანი მუშა, პარტიამ ის საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრათ წამოაყენა. აქ ის მუშაობა კომისიაში იღებდა აქტიურ მონაწილეობას. ერთ დროს ის «სხიველვლებისაკენ» იხრებოდა, მაგრამ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მისთვის აშკარა შეიქნა, რომ ბრძოლაში გამობრძმედილი სოციალ-დემოკრატიული პარტია არის ერთათ-ერთი ძალა, რომელიც კომუნისტურ დიქტატურას საუკეთესოთ შეებრძოლება, მუშათა ინტერესებს დაიცავს და საქართველოს თავისუფლების აღდგენას გზას გაუკაფავს. ამიტომაც იყო განსვენებულ ს. ჯიბლაძესთან ერთათ პარტიაში მუშაობას განაგრძობდა და მას ეხმარებოდა.

საქართველოს მოღალატეებმა კარგად იცოდენ ილ. კოპალეიშვილის შეურიგებელი ბუნება, მისი 28 წლის პარტიული მუშაობა და ხალხში გავლენა. ამიტომაც საქართველოს აჯანყების დროს ოლგინათ ჩავარდნილი მოხუცი, რომელსაც 40 გრადუსი სიცხე ჰქონდა, სიკოცხლეს გამოასალმეს. ამიერიდან ის მთელი ქართველი ერისთვის სამუდამოთ უკვდავი შეიქნა.

თანამეზარი.

კაფე «ვოლტერ»-ის ინციდენტის გარშემე.

წერილი რედაქციის მიმართ.

ამხანაგო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული ჟურნალის საშვალებით უარვყო ყოველგვარ ნიადაგს მოკლებული ცნობები. რომელსაც ავრცელებს ბოლშევიკური პრესა კაფე «ვოლტერ»-ში მომხდარ ინციდენტის გარშემო.

კაფე «ვოლტერ»-ში მომხდარმა ინციდენტმა, როგორც სჩანს, საკმაოთ შეარყია ბოლშევიკური ჯარმი, აასისინა გველები, ააყაყანა ბაყაყები. მათი გაზეთები ერთი მეორეს ეჯიბრება ტყუილების შეთხზვაში. პირველი ადგილი, რასაკვირველია, უუჩინარს საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელ კოასანის მიერ დაქირავებულ მონაბოქილტ-ფაშისტ ვეშაპელის ორგანოს. კამათი იმ ორგანოსთან, რომლის სულის ჩამდგმელმა ფულში გაჰყიდა სინდისი, პატიოსნება და, რაც მთავარია, თავისი სამშობლო—თავის დამცირებაა და შეურაცყოფა იმ მაღალი იდეის, რომლის განხორციელებისათვის ჩვენ ვიბრძვით. მაგრამ მის მიერ შეთხზული ჯორებს თუ მაინც ყურადღებას ვაქცევთ, სახეში გვაყვს ქართველი ემიგრაცია და საქართველოს ხალხი, რომელთა წინაშე ჩვენ ვალდებული ვართ ჯორები უარვყოთ და სიმართლე დავიცვათ. ამიტომ მე, როგორც ერთ მონაწილეთაგანს ამ ინციდენტში, მსურს სათითაოთ უარვყო ეს ტყუილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყუილი პირველი. მთავარი ტყუილი, ყველაზე უფრო საზიზღარი და შავი ზრახვებით გაჟღენთილი არის ის, თითქოს ჩვენ «თავდასხმა» მოგვეწყინოს საზღვარ-გარეთ მყოფ ქართ. პოლიტ. პარტიების ლიდერებისა და ჩაქ. დემოკ. რუსს. მთავრობის წევრთა «შთაგონებით».

კატეგორიულათ ვაცხადებთ, რომ არავის ჩვენზე არავითარი «შთაგონება» არ მოუხდენია და არც შეეძლო მოეხდინა. ჩვენ ეს ნაბიჯი გადავდგით სრულიად დამოუკიდებლათ, სრული ჩვენი პასუხისმგებლობით, ადგილობრივ პარტ. ორგანიზაციების და მათი ლიდერების დაუკითხავათ; დაკითხვის დრო ჩვენ არ გვქონდა და, რომც გვქონოდა, არც დავეკითხებოდით. რადგან წინასწარ ვიცოდით მათი უარყოფითი დამოკიდებულება ასეთ ნაბიჯისადმი.

მაშასადამე, ჩვენ, ინციდენტში მონაწილენი, ვმოქმედობდით სრულიად დამოუკიდებლათ და პასუხისმგებელნიც ჩვენა ვართ.

ტყუილი მეორე. ბოლშევიკური პრესა ქვეყანას არწმუნებს, თითქოს ჩვენ, ეგრეთ წოდებულ «თავდამსხმელებს», გვეცემოს არა მარტო ვეშაპელისა და მის მსგავს სინდის გაყიდულ, სამშობლოს მოღალატე და ემიგრაციის გამხრწნელ ელემენტებისათვის, არამედ, თურმე არ დაგვინდვია მოხუცები, ქალები და ბავშვებიც კი.

მართალია ჩვენს სამშობლოში ცეცხლით და მახვილით შემოსერილ რუსულ ბოლშევიზმის დესპოტიურმა რეკიმმა და მისმა ველურმა ბრძოლამ ელემენტარულ მოქალაქობრივ თავისუფლებისა და ეროვნების წინააღმდეგ ჩვენ, ახალგაზდები, იძულებული გაგვხადა მიგვეღო ზოგიერთი ბოლშევიკური ბრძოლის მეთოდები მათსავე საწინააღმდეგოთ, მაგრამ ჩვენ ვიცით ზომა და ბოლშევიკიური ზნეობა იმდენით არ გადმოგვდებია, რომ მოხუცებს და ქალებს ფიზიკური შეურაცხყოფა მივაყენოთ. ასეთი საქმეები მოიკითხონ სქართველოს ჩეკაში. ყოველ შემთხვევაში ჩვენ მოვითხოვთ მათგან დაგვისახელონ თუნდაც ერთი ჩვენ მიერ შეურაცხყოფილი ქალი ან მოხუცი. რაც შეეხება ბავშვებს, აქ მე მგონია, ამ ხალხს ცოდვა ალაპარაკებს. მათ უთუოდ ელანდებათ არრიდილები იმ უმანკო ბავშვებისა, რომელნიც მათ მიერ მხეცურად იქნენ ამოხოცილნი აჯანყების დროს. ძნელია, როცა ადამიანის სინიდისი უმანკო ბავშვის მკვლელობით არის შერყვნილი. ხოლო რაც შეგვეხება ჩვენ, ჩვენ კრებაზე ბავშვები სრულებით არ დაგვინახავს და რომც დაგვენახავს ბოლშევიკური და მათ მიერ მოყიდული აგენტები ხომ არა ვართ, უმანკო ბავშვებზე ჯავრი რომ გვეყარა? ღმერთმა დაგვიფაროს ყველაფერში მათი მიბაძვისაგან!

ტყუილი მესამე. თურმე ნუ იტყვით «თავდამსხმელები» შეიარაღებული ყოფილან რევოლვერებით და რკინიანი ჯოხებით.

არც ერთ ჩვენთაგანს იარაღი არ ჰქონია არც «ნაბალდაშნიკიანი» ჯოხები.

ტყუილი მეოთხე. «თავდამსხმელთა» რიცხვი თურმე ორმოცს აღემატებოდა, ხოლო კრების მონაწილეთა რიცხვი 20 კაცს ძლივს აღწევდა.

მე არ ვიცი რამდენთან სსხარგებლა ჩვენი მოწინააღმდეგებისათვის ჩვენი სიმრავლისა და მათი სიმცირის დამტკიცება. იქნებ ამ ტყუილით ბოდიშს იხდიან: ცოტანი ვიყავით, თორემ გიჩვენებდით სეირსო! მაგრამ რად გვესაჭიროება ეს ტყუილი! ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს. ჩვენ ვიყავით სულ 19 კაცი. რაც შეეხება კრებაზე მონაწილეთა რიცხვს, უკაცრავათ პასუხია «ამხანაგ» მიწერშვილის სიას თუ რაიმე დაეჯერება—40-დის აღწევდა.

ტყუილი მეხუთე. ეს შემეხება პირადათ მე. ბოლშევიკური პრესა ჩემს შესახებ ერთხმათ აცხადებს, თითქოს მე «ყოფილი ს.-დემ. ეკკას მდივანი»(?!) დღეს თანადროულათ ვარ «თეთრი გიორგის» წევრი და საქ. სოც.-დემ. მ. პ. პარიზის ჯგუფის კომიტეტის მდივანი.

ეკკას მდივანი მე არასდროს არ ყოფილვარ, რად ესაჭიროებათ ან რად გამოადგება ბოლშევიკებს ჩემი «დიდი» კაცათ გამოყვანა? მე მგონია ასეთი მტკნარი ტყუილები ს.-დემ. პარტიას ვერაფერს დააკლებენ, მხოლოდ თავის თავს კი შერცხვენენ.

რაც შეეხება «თეთრი გიორგის» წევრობას, სიმართლეს აღდგენის მიზნით მე უნდა განვაცხადო რომ «თეთრი გიორგი»-ს წევრი არც ყოფილვარ და არც ვარ. ჩემი უმორჩილესი თხოვნაა «თეთრი გიორგი»ს სადმი—დამდასტუროს ეს განცხადება.

მე ვიყავი საქ. სოც.-დემოკრ. პარტიის პარიზის ჯგუფის ორგანიზაციის კომიტეტის მოლარე და არა მდივანი. აი ეს არის სიმართლე. მაგრამ ტყუილათ გონია ბოლშევიკურ პრესას ამით დიდი საბუთი იშოვა სოც.-დემ. პარტიის «მოსასპობათ». მე მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილობა მივიღე ამ ინციდენტში არა როგორც კომიტეტის წევრმა, არამედ როგორც სხულიად კერძო პირმა. ქართველმა მოქალაქემ და პატრიოტმა. კომიტეტმა ამის შესახებ არაფერი იცოდა.

მე კარგათ ვიცოდი, რომ ჩემი ესნანიჯი ეწინააღმდეგებოდა ჩემი პარტიის პრინციპებს, ტაქტიკას და ტრადიციებს, მაგრამ მე არ მქონდა საშუალება წინდაწინ გავსულიყავი კომიტეტიდან. ამის დრო მე არ მქონდა. ინციდენტი მოხდა უეცრათ და მოულოდნელათ. რაც წინასწარ შეუძლებელი იყო. ის მე შევასრულე ფაქტის შემდეგ. მე არ დავუცადე ამხანაგების მსჯავრს და ამა წლის 15 აგვისტოს თარიღით შევიტანე საქარ. სოც.-დემოკრ. პარტიის პარიზის კომიტეტში განცხადება ჩემი გადადგომის შესახებ კომიტეტის წევრობიდან.

პატივისცემით ალ. ლიტვინელი.

პარიზი. 15 აგვისტო, 1925 წ.

გამოგვგზავნეს

ინგლისის ტრედ-უნიონების დელეგაცია და საქართველო. აგვისტოში გამოვიდა ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე ბროშიურა: «ინგლისის ტრედ-უნიონების დელეგაცია და საქართველო», გამოაცემა საქართველოს სოც.-დემ. მუშ. პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროსი.

ბროშიურას დიდის ინტერესით შეხვდა ევროპის სოციალისტური წრეები, განსაკუთრებით ინგლისში და გერმანიაში, სადაც ე. წ. «მუშათა დელეგაციების» მოგზაურობა საბჭოთა კავშირში ფაქტიურად საკითხს წარმოადგენს. ინგლისურმა, გერმანულმა და ავსტრიულმა გაზეთებმა ბიბლიოგრაფიული წერილები უძღვნეს გამოცემას.

«დოკუმენტები საქართველოს საკითხის შესახებ ერთა ლიგაში». საქართველოს რესპუბლიკის საელჩომ პარიზში გამოსცა 68 გვერდიანი კრებული ფრანგულ ენაზე: «დოკუმენტები საქართველოს საკითხის შესახებ ერთა ლიგაში». კრებული შეიცავს ყველა დოკუმენტების ასლს, რომელიც ერთა ლიგას გადაეცა საქართველოს მთავრობის ან მისი წარმომადგენლების მხრით, აგრეთვე, ერთა ლიგის ყრილობების და კომისიების იმ სხდომათა ანგარიშებს, რომელზედაც საქართველოს საკითხი ირჩეოდა.

«ტერორი სოც. პარტიების წინააღმდეგ რუსეთსა და საქართველოში». სოც. მუშათა ინტერნაციონალმა გამოსცა გერმანულ ენაზე წიგნი: «ტერორი რუსეთსა და საქართველოში». წიგნის მეორე ნაწილი (60 გვერდი) ასწერს ტერორს საქართველოში კომუნისტების შემოსვლის პირველ ხანებიდან გასული წლის ბოლომდე. წიგნის ეს ნაწილი შეიცავს შემდეგ თავებს: წინასიტყვაობა. 1) ჭეკა. 2) რეპრესიები მუშების და გლეხების წინააღმდეგ. 3) კომეფინესტური პარტიის როლი რეპრესიებში. 4) ჩეკის საგმირო საქმენი. 5) საქართველოს შეერთება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირთან. 6) ჩეკისტებს სისხლი სწყურიათ. 7) აჯანყება და მისი სისხლში ახხრჩობა. თვითეული თავი დასაბუთებულია უმთავრესად კომუნისტურ პრესიდან ამონაწერებით და სხვა ბოლშევიკურ დოკუმენტებით.

ფასი ჟურნალ «ბრძოლა»-ს.

რედაქციამ მიიღო დახმარება:

ოდენკურში მომუშავე ამხანაგებისგან 140 ფრანგ. ფრანკი.
პრაგის ორგანიზაციისაგან . . . 500 ჩეხური კორონა (300 ფრანკი).
ამხ. ს. ი—საგან . . . . . 5 გერმანული მარკა.
ამხ. ბ. ი—საგან . . . . . 15 ფრანკი.

Rédaction et Administration:
Le Gérant: G.-A. Bernard. D. Charachidsé. 2, Rue Perceval. Paris, 14.

Imprimerie A. Lejeune, 95, Grande Rue. Arpajon (S. et. O.)